პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 33-ე წელი

№ 142 (9302)

სამშაბათი 17 ივნისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთშია

ამერიკის სამხედრო ხროვა ჰიტლერული ტირანიის გზით მიდის — „პრავდის“ 15/VI მოწინავე (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეშვიდე ტომი ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება — გულგრილობის ტყვეობაში (მე-2 გვერდი).
ნაკლოვანებებისადმი შემარიგებლობის შედეგი (მე-2 გვერდი).
მრეწველობაში დავნერგოთ პროგრესულ-ტექნიკური ნორმები (მე-2 გვერდი).
ბოლომდე ალმოვფხვრათ ვულგარულ-მატერიალისტური შეცდომები ენათმეცნიერებაში (მე-3 გვერდი).
პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს მოწოდება ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

# ამერიკის სამხედრო ხროვა ჰიტლერული ტირანიის გზით მიდის

## „პრავდის“ 15/VI მოწინავე

ამერიკელი იმპერიალისტი დამპყრობლები, რომლებიც ჰიტლერული ტირანიის გზას, სისხლისმღვრელი ავაზაკობის გზას დაადგნენ, კვლავ სჩადიან კორეაში ავაზაკურ დანაშაულს.

მალე ორი წელი შესრულდება იმ მომენტიდან, რაც მსოფლიო ბატონობის თანამედროვე პრეტენდენტებმა — ამერიკელმა იმპერიალისტებმა — გააჩაღეს უსამართლო, მძარცველური ომი მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ.

ეფარებიან რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამს, ამერიკელმა აგრესორებმა მცირე კორეელი ხალხის წინააღმდეგ გამოიყვანეს ბევრად ჭარბი სამხედრო-საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ძალები. თავხედურად თელავენ რა ომის წარმოების საყოველთაოდ აღიარებულ კანონებს, ყველა საერთაშორისო ნორმასა და ჩვეულებას, ამერიკელმა კანიბალებმა ნანგრევებად და ფერფლად აქციეს კორეის ქალაქები და სოფლები, სკოლები და საავადმყოფოები, ტაძრები და მუზეუმები.

მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ბარბაროსული მოქმედებით ამერიკელ დამპყრობლებს იმედი ჰქონდათ, რომ დააჩოქებდნენ კორეელ ხალხს, გადააქცევდნენ მას ოკეანესგაღმელი მილიარდერებისა და მილიონერების მონად.

მაგრამ დამპყრობლები მოტყუვდნენ თავიანთ დანაშაულებრივ ავანტიურაში. მათ ჯეროვნად ვერ შეაფასეს ხალხის წინააღმდეგობის ძალები. კორეელი ხალხი დაირაზმა თავისი სამშობლოს დასაცავად და გააჩაღა სამართლიანი განმათავისუფლებელი ომი. ჩინელ სახალხო მოხალისეთა ძმური დახმარებით კორეელმა ხალხმა წინააღმდეგობა გაუწია ამერიკელ აგრესორებს და მათს თანამონაწილეებს. კორეის მაგალითით ერთხელ კიდევ დადასტურდა ის უდავო ჭეშმარიტება, რომ ხალხს, რომელიც იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, შეუძლია გმირობისა და თავგანწირვის სასწაულები მოახდინოს იმპერიალისტ მოძალადეთა და დამმონებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

კორეაში დამარცხების შემდეგ ამერიკელმა აგრესორებმა გამოიყენეს ადამიანთა მასობრივი მოსპობის დანაშაულებრივი საშუალებანი — მომწამვლავი ნივთიერებანი, ბაქტერიოლოგიური იარაღი და ნაპალმი, რომლებიც დაგმობილია მთელი პატიოსანი კაცობრიობის მიერ და აკრძალულია საერთაშორისო კონვენციებით.

უკანასკნელი დროის ამბებმა ცხადყო, რომ ოკეანესგაღმელი ავანტიურისტები და კაცთმოძულენი სულ უფრო შორს მიდიან სისხლისმღვრელი ბოროტმოქმედების დანაშაულებრივი გზით.

კორეის კუნძულ კოჯედოდან, რომელიც ამერიკელმა გესტაპოელებმა ვეებერთელა საკონცენტრაციო ბანაკად — სიკვდილის ბანაკად გადააქციეს, მოდის სულ ახალი ცნობები კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა რაზმების უმწეო სამხედრო ტყვეების საშინელი ტანჯვის, შეურაცხყოფის, წამებისა და მასობრივი დახოცვის შესახებ.

ამერიკელთა სამხედრო ხროვა უხეშად არღვევს ჟენევის კონვენციას სამხედრო ტყვეებისადმი ჰუმანური მოპყრობის შესახებ და ტერორითა და რეპრესიებით, წამებითა და მკვლელობით ცდილობს ძალით დააკავოს ტყვეები, არ დაუშვას მათი დაბრუნება სამშობლოში, შერეკოს ისინი გომინდანელ და ლისინმანელ ბანდიტთა ურდოებში, გადააქციოს ამერიკელ იმპერიალისტთა საზარბაზნე ხორცად.

„ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე მოელის, გთხოვთ დაგვეხმაროთ, რომ თავი დავაღწიოთ ამერიკულ ჯოჯოხეთს, — ნათქვამია კუნძულ კოჯედოზე ამერიკელ გესტაპოელთა 6.223 სამხედრო ტყვე-პატიმრის ამას წინათ გამოქვეყნებულ მიმართვაში, რომელიც პარტიზანებმა ფრონტის ხაზზე გადაატარეს და ფხენიანში მიიტანეს. — ამ მიმართვას ჩვენი გულის სისხლით ვწერთ. სიტყვები არ გვყოფნის, რომ მთლიანად აღვწეროთ ის ტანჯვა-წამება, რასაც ამერიკელი მკვლელების, ჯალათებისა და სადისტებისაგან განვიცდით. მას შემდეგ, რაც აქ ჩამოვიდა ბანაკის ახალი კომენდანტი ბოუტნერი, ჩვენი სიცოცხლე სერიოზულ საფრთხეში ჩავარდა. ბოუტნერმა ვერაგულად დაარღვია ვალდებულება ბანაკის ყოფილი ამერიკელი კომენდანტის გენერალ კოლსონისა, რომელმაც პირობა მოგვცა, რომ ჩვენ მიერ დაკავებული გენერალ დოდის განთავისუფლების შემდეგ სამხედრო ტყვეთა ბანაკში აღარ გამეორდებოდა სისხლისღვრა, შეწყდებოდა ლისინ მანისა და ჩან კაი-შის ბანდებში ჩვენი ძალად შეგროვება, აიკრძალებოდა სისხლით ხელმოწერის შეგროვება თაღლითურ და ყალბ პეტიციაზე „თავისუფალი რეპატრიაციის“ შესახებ, რომ ჩვენთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა ცხოვრების ადამიანური პირობები“.

ამას წინათ კუნძულ კოჯედოზე ჩასული ახალი სისხლისმსმელი ჯალათი და მკვლელი გენერალი ბოუტნერი აღვირახსნილი ბანდიტის თავხედობით ტრაბახობდა, რომ „სისხლის დაუღვრელად არაფერი გაკეთდება“, რომ „თუ სისხლისღვრა უნდა მოხდეს, იგი მოხდება“. ოკეანესგაღმელი ბატონების მიერ წაქეზებული და შთაგონებული გენერალი ბოუტნერი ცდილობს პრაქტიკულად განახორციელოს კაციჭამიათა საზარელი განზრახვა — სამხედრო ტყვეთა მასობრივი სისხლისღვრა და მკვლელობა. სიკვდილით დასჯა, გაზის კამერები, ბაქტერიებით დახოცვა, ელექტროდენით დახოცვა, ცოცხლად დაწვა, ცოცხლად დამარხვა, აკუწვა, ზღვაში დახრჩობა — ადამიანთა გაჟლეტის ყველა ამ სადისტურ ხერხს ფართოდ იყენებენ ამერიკელი გესტაპოელები სამხედრო ტყვეების და კორეის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.

მარტო ერთ დღეს, 10 ივნისს, გამხეცებულმა ამერიკელმა გესტაპოელებმა კოჯედოზე ეგრეთწოდებული „მ დღის“ ოპერაციის დროს ტანკების, ტყვიამფრქვევების, გრანატებისა და მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენებით დახოცეს და დაჭრეს ასობით სამხედრო ტყვე.

ამერიკის სამხედრო ხროვის საზარელ დანაშაულობას აღშფოთებითა და მრისხანებით ხვდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანი. მთელი პროგრესული კაცობრიობა სამარცხვინო ბოძზე აკრავს ამერიკელ კანიბალებს, როგორც ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების უბოროტეს მტრებს.

გმირ კორეელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოლომდე დაიცვას თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. დღეს ქვეყნდება კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია:

„ამერიკელი იმპერიალისტები ვეღარ მალავენ თავიანთ ბოროტმოქმედებას. ამ დანაშაულობათა ფაქტები ახლა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივმა აზრმა იცის. მთელი კორეელი ხალხი და მთელი მსოფლიოს ხალხები აღშფოთებით აცხადებენ პროტესტს იმის გამო, რომ ამერიკელი კაციჭამიები უმაგალითო ბოროტმოქმედებას სჩადიან ჩვენი მხარის სამხედრო ტყვეთა მიმართ. კორეელი ხალხი არასოდეს არ აპატიებს ამერიკელ ბარბაროსებს ჩვენს მიწა-წყალზე ჩადენილ ბინძურ ბოროტმოქმედებას, დანაშაულს არ აპატიებს ამერიკელ აგრესორებს, რომლებიც სისხლით რწყავენ ჩვენი მშვენიერი სამშობლოს მიწას. ამერიკელი ინტერვენტები ვერასოდეს ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას თავიანთი ბოროტმოქმედებისათვის“.

ჩინური გაზეთი „გუანმინჟიბაო“ წერს: „ამერიკელ აგრესორთა მხეცობამ, რის მსხვერპლიც გახდნენ ჩინელი და კორეელი სამხედრო ტყვეები, და განსაკუთრებით სამხედრო ტყვეთა დანაშაულებრივმა დახოცვამ კუნძულ კოჯედოზე, ამერიკელ აგრესორებს ჩამოგლიჯა „ჰუმანურობისა“ და „ცივილიზაციის პრინციპებისადმი ერთგულების“ ნიღაბი, რომელსაც ისინი ფარისევლურად იფარებდნენ“. მსოფლიოს ხალხები, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, რწმუნდებიან, რომ ამერიკელი აგრესორები ჰიტლერელ ფაშისტებზე უფრო სასტიკი და ულმობელი მკვლელები არიან.

„კუნძულ კოჯედოზე მომხდარი ამბები, — აცხადებს პოლონური გაზეთი „გლოს პრაცი“, — იმპერიალისტების დანაშაულთა საერთო ჯაჭვის ახალი რგოლია. ამერიკელი იმპერიალისტები შავი ჭირის, ხოლერისა და ტიფის საშუალებით ცდილობენ მოსპონ კორეელი ხალხი, რომელიც გმირულად იცავს თავის დამოუკიდებლობას. ეს დანაშაული ჩაიდინეს ადამიანებმა, რომლებიც ვერმახტს აღორძინებენ და ახალი ხოცვა-ჟლეტისაკენ მოუწოდებენ. მათი დანაშაული კაცობრიობის მტრების დანაშაულია, რომლებიც კაპიტალს იძენენ ადამიანთა დახოცვის გზით“.

ამას წინათ ბერლინში გაიმართა მშრომელთა მასობრივი საპროტესტო მიტინგი შეერთებული შტატების მიერ კორეაში გაჩაღებული დანაშაულებრივი ომისა და იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელი აგრესორები ხოცავენ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს კუნძულ კოჯედოზე. მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია მრისხანე პროტესტი ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ, რასაც ამერიკელი იმპერიალისტები აწარმოებენ, და იმის გამო, რომ ამერიკის სამხედრო ხროვა მხეცურად ეპყრობა კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს კუნძულ კოჯედოზე.

ყველა ქვეყნის ათეულ მილიონობით ორგანიზებული მუშის სახელით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა მოწოდება — 1952 წლის 25 ივნისი, როცა სრულდება ორი წელი, რაც ამერიკელი დამპყრობნი მძარცველურ ომს აწარმოებენ კორეელი ხალხის წინააღმდეგ, გამოცხადდეს მშვიდობის დაცვის დღედ, გმირი კორეელი ხალხისადმი საერთაშორისო სოლიდარობის დღედ.

გააძლიერებენ რა სიფხიზლეს ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს ხალხები ამ დღეს ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ სიძულვილს ამერიკელი დამპყრობლებისადმი, ძმურ სოლიდარობას მამაცი და თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხისადმი, თავიანთ მტკიცე ნებასა და გადაწყვეტილებას — იბრძოლონ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

# ჩვენს რესპუბლიკაში



წითელწყაროს რაიონი. შირაქის მტს-ი წელს ახალი მძლავრი მანქანებით შეივსო. მექანიზატორებმა იკისრეს უდანაკარგოდ აიღონ პურის მოსავალი. სურათზე: ახლადმიღებული თვითმავალი კომბაინების აწყობა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## რვა კომბაინი ერთ კოლმეურნეობაში

ბოლნისი. (სპეც. კორ.). დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის გამსხვილებულ კოლმეურნეობაში წელს პურეულს 2.100 ჰექტარზე აიღებენ. ამ კოლმეურნეობაში მოსავლის აღებაზე იმუშავებს ბოლნისის მტს-ის 8 კომბაინი, რომლებსაც მოემსახურება 150 კოლმეურნე.

მოწინავე კომბაინერმა ო. მიქელაძემ, რომელმაც შარშან „სტალინეც—6“-ით მოსავალი აიღო 500 ჰექტარზე, პირობა დადო წელს აიღოს 550 ჰექტარი. ასეთივე ვალდებულებანი აქვთ ნაკისრი კომბაინერებს ა. ბეჟანიშვილს, ი. დუბროვსკის და სხვებს.

წელს კოლმეურნეობაში შეიძინეს დიდი სასწორი, რომელიც რამდენიმე ათეული კაცის შრომას ათავისუფლებს.

მოსავლის აღებაზე იმუშავებს 800-მდე კოლმეურნე.

კომუნისტები ს. სვანიძე, ი. უგრეხელიძე, გ. ქვარიანი, დ. სირაძე, პ. ბეალავა, ნ. მამარდაშვილი, ა. ბობოხიძე, ნ. ბერძენაძე, გ. ჯაჯანიძე, ი. ლაბაძე და სხვები საქმით გვიჩვენებენ ავანგარდულ როლს. ისინი ყველა დავალებას პირნათლად ასრულებენ.

## უხვი საკვები მეცხოველეობას

წითელწყარო. (სპეც. კორ.). წელს რაიონის კოლმეურნეობებში თივის უხვი მოსავალია. ბევრგან ბალახი ნახევარ მეტრ სიმაღლეს აღწევს. ცალკეული ნაკვეთების თითეულ ჰექტარზე თივის მოსავალი 4-5 ტონას აღწევს. მთელ რიგ კოლმეურნეობებს გათვალისწინებული აქვთ პირუტყვისათვის 2-3 წლის სამყოფი საკვები დააგროვონ.

სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ა. კობაიძე) უკვე გათიბული აქვს 600-მდე ჰექტარი თივა გეგმით გათვალისწინებული 650 ჰექტარიდან. მოსავალი საუკეთესოა. მცელავები ივანე კობაიძე და თედო გაგაძე დღეში ხუთ-ხუთ ტონა ბალახს თიბავენ. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობს სათიბი მანქანით მიხეილ ბოსტოღანაშვილი.

კოლმეურნეობამ წელს დამატებით მეცხოველეობის ფერმებისათვის 1.300 ტონა საერთო ტევადობით სამი სასილოსე ორმო გააკეთა. გეგმით გათვალისწინებული 1.420 ტონიდან უკვე ჩადებულია 1.200 ტონაზე მეტი სილოსი.

## მოწინავე მეაბრეშუმეები

აბაშა. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ზანათის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ მინა ქორჩილავამ 8 გრამ თესლზე მიიღო 40,4 კილოგრამი კარგი ხარისხის აბრეშუმის პარკი, გეგმით გათვალისწინებული 19,9 კილოგრამის ნაცვლად. ასეთები აქ ბევრნი არიან. 11 ივნისისათვის აბაშის პარკის მიმღებ პუნქტს დამზადებული ჰქონდა 5 ტონამდე პარკი.

## დაწინაურებული ბრიგადები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის საამქროებში ყოველდღიურად ძლიერდება ბრძოლა მეტი, ლამაზი და მაღალხარისხოვანი ფეხსაცმლის გამოშვებისათვის.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ფეხსაცმლის გამომყვანი და რანტის მიმკერებელი ბრიგადები, რომლებსაც სტახანოველი ოსტატები თ. აბრამიძე და ვ. იობიძე ხელმძღვანელობენ. მათ მიმდინარე წლის ხუთ თვეში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს როგორც გეგმის გადამეტებით მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების, ისე ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიისათვის ბრძოლაში. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ბრძანებით ორივე ბრიგადას გადაეცა ქების სიგელი და მიენიჭა მაღალნაყოფიერი შრომის ბრიგადის წოდება.

დაწინაურებული ბრიგადები ახლა გაორკეცებული ენერგიით იბრძვიან მორიგ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. მათ მაგალითს მტკიცედ მიჰყვება აგრეთვე ათობით სხვა ბრიგადა, რომლებიც გეგმას სისტემატურად 140-150 პროცენტით ასრულებენ.

## ახალციხური დიატომიტი

ახალციხე. (საკ. კორ.). ყოველდღიურად იზრდება დიატომიტის ამოღება. საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა დიატომიტის წარმოებამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა. მაისში მეშახტეებმა 30 პროცენტით მეტი დიატომიტი ამოიღეს გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით.

მეტი დიატომიტის მოპოვებისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვეს მნგრეველებმა ალექსი გიორგაძემ, გიორგი ანისიმოვმა და მარკოზ ჯვარაძემ. ისინი ყოველდღიურად ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებენ. სამრობ-საფუძვავი საამქროს ბრიგადა, რომელსაც ამხ. ს. ზაიცევი ხელმძღვანელობს, საწარმოო დავალებებს 120-150 პროცენტით ანაღდებს.

ახალციხის დიატომიტის წარმოების მუშაკთა კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა ერთი თვით ადრე შეასრულოს.

## საკონდიტრო ნაწარმი გეგმის გადამეტებით

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკა მაღალნაყოფიერად და რიტმულად მუშაობს. საწარმოს კოლექტივმა მაისში ახალი გამარჯვება მოიპოვა — დავალება 106 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით 9 ტონა მაღალხარისხოვანი საკონდიტრო ნაწარმი გამოუშვა.

შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში დაწინაურდა კამფეტის შემფუთავი ბრიგადა, რომელსაც ა. კვერკველია ხელმძღვანელობს.

# ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეშვიდე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეშვიდე ტომი.

თარგმანი შესრულდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა. გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ეგზემპლარი.

თხზულებათა ოცდამეშვიდე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1918 წლის 21 თებერვლიდან 27 ივლისამდე.

ტომში შედის მოხსენებები, სიტყვები და სტატიები, რომლებიც ასახავენ ლენინის მოღვაწეობას პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის დარგში იმ პერიოდში, როცა წარმოებდა ბრძოლა ზავისათვის, იმპერიალისტური ომიდან საბჭოთა რუსეთის რევოლუციური გამოსვლისათვის, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის გაჩაღებისათვის შესვენების დღეებში, უშუალოდ ბრესტის ზავის დადების შემდეგ.

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დოკუმენტებს, რომლებიც მიმართულია ტროცკისა და „მემარცხენე კომუნისტების“ პროვოკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის, რომელსაც არმია ჯერ კიდევ არა ჰყავდა, ომის თავზე მოხვევის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამას მიეკუთვნება სტატიები: „რევოლუციური ფრაზის შესახებ“, „ზავი თუ ომი?“, „მძიმე, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილი“, „უცნაური და შემზარავი“, „საქმიან ნიადაგზე“, „სერიოზული გაკვეთილი და სერიოზული პასუხისმგებლობა“, აგრეთვე მოხსენებები და საბოლოო სიტყვები ზავის საკითხზე პარტიის VII ყრილობაზე და საბჭოების საგანგებო IV ყრილობაზე.

ნაშრომში „მემარცხენე“ ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ“ შეჯამებულია ბრესტის ზავისა და საშინაო პოლიტიკის საკითხებში „მემარცხენე კომუნისტების“ წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები, დახასიათებულია „მემარცხენე კომუნისტები“, როგორც „გაცოფებული წვრილი ბურჟუას“ ინტერესთა გამომხატველნი, როგორც „იმპერიალისტური პროვოკაციის იარაღი“. მაშინ პარტიისათვის ცნობილი არ იყო, რომ ტროცკი, ბუხარინი და მათი თანამზრახველნი უკვე 1918 წელს მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში, რომელიც მიზნად ისახავდა საზავო მოლაპარაკების ჩაშლას, გერმანელთა შემოტევის პროვოკაციულად გამოწვევას და გერმანელ იმპერიალისტთა ხიშტების დახმარებით საბჭოთა ხელისუფლების მოსპობას.

ტომში დიდი ადგილი უჭირავს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც მიძღვნილია სოციალისტური მშენებლობისადმი, საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაციისადმი, შრომის ნაყოფიერების გადიდებისადმი, სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისადმი, ახალი პროლეტარული დისციპლინის აღზრდისადმი. ამ ნაწარმოებთა შორის არის ლენინის განთქმული ნაშრომი — „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“. მასში ლენინი ხაზავს სოციალისტური მშენებლობის პროგრამას, გვიჩვენებს ახალი, სოციალისტური, საწარმოო ურთიერთობის შექმნას.

ტომის დოკუმენტების ჯგუფი: „შიმშილობის შესახებ. წერილი პიტერის მუშებს“, „მოხსენება შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ“ სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 4 ივნისს და სხვა ნაშრომები ასახავენ სოფლად სოციალისტური რევოლუციის გაშლას, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლას, სოფლის ღარიბობისადმი დახმარების ორგანიზაციას, სასურსათო დიქტატურის დამყარებას.

ლენინის მთელი რიგი სიტყვები და გამოსვლები მიძღვნილია საშინაო და საგარეო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის ორგანიზაციისადმი. ამ დოკუმენტების რიცხვში შედის: „სიტყვა მიტინგზე სოკოლნიკის კლუბში“ 21 ივნისს, „სიტყვა მიტინგზე სიმონოვის ქვერაიონში“ 28 ივნისს, „საუბარი სრულიად რუსეთის ცაკის „იზვესტიის“ თანამშრომელთან „მემარცხენე“ ესერების აჯანყების გამო“, „მოხსენება საქარხნო კომიტეტების მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე“ 23 ივლისს და სხვები.

ოცდამეშვიდე ტომში შეტანილია 17 ახალი დოკუმენტი, რომლებიც ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად იბეჭდება. ამ დოკუმენტების უმრავლესობა გვიხასიათებს ლენინის მოღვაწეობას რესპუბლიკის თავდაცვის ორგანიზაციის დარგში გერმანელ იმპერიალისტთა შემოტევის დღეებში, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დასაწყისში. ასეთებია: დეკრეტი „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!“, „პროექტი ბრძანებისა დეპუტატთა ყველა საბჭოსადმი“ გერმანელებთან საზავო მოლაპარაკების შესაძლო შეწყვეტასთან დაკავშირებით თავდაცვის აუცილებლობის შესახებ, „დირექტივები ვლადივოსტოკის საბჭოს“ იაპონიის მიერ ვლადივოსტოკში დესანტის გადმოსხმის გამო.

ახალი დოკუმენტების ჯგუფს მიეკუთვნება: „დეპეშების გაცვლა-გამოცვლა ი. ბ. სტალინთან“ გერმანიის ელჩის მირბახის მოკვლისა და „მემარცხენე“-ესერული ამბოხების გამო, „ლაპარაკი ი. ბ. სტალინთან პირდაპირი მავთულით“ პეტროგრადისა და მოსკოვის მძიმე სასურსათო მდგომარეობის შესახებ, „ი. ბ. სტალინის დანიშვნა სასურსათო საქმის ხელმძღვანელად სამხრეთ რუსეთში“ და „დეპეშა ი. ბ. სტალინს“. ეს დოკუმენტები გვიჩვენებს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თანამეგობრობას, მათს ერთობლივ მოღვაწეობას საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის ორგანიზაციისათვის მისი არსებობის უძნელეს პერიოდში.

წერილში ზინოვიევისა, ლაშევიჩისა და სტასოვასადმი, აგრეთვე ჩანაწერში „პირდაპირი მავთულით. პეტროგრადი, სმოლნი, ზინოვიევს“, რომლებიც თხზულებებში პირველად იბეჭდება, ლენინი ააშკარავებს დეზორგანიზატორულ, ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას ზინოვიევისას, რომელიც აფერხებდა პეტროგრადის მუშათა ფრონტზე გაგზავნას და ამით ძირს უთხრიდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციას.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად არის შეტანილი: ორი დოკუმენტი სოციალისტური აკადემიის დაარსების შესახებ; ორი დოკუმენტი რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ — „იუსტიციის კომისარიატის კოლეგიის წევრებს“ და „სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი“; წერილი „რკპ ც. კ-ს“, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი მექრთამეობისათვის გამოტანილი რბილი განაჩენის წინააღმდეგ; „სამეურნეო და განსაკუთრებით საბანკო პოლიტიკის ძირითადი დებულებანი“; „სასურსათო რაზმების შესახებ“ — სიტყვა მოსკოვის მუშათა კრებებზე 20 ივნისს.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში ახლად შეტანილ ნაშრომთა შორის პირველად ქვეყნდება „პროტესტი გერმანიის მთავრობისადმი ყირიმის ოკუპაციის წინააღმდეგ“, რომელიც დაწერილია 1918 წლის 11 მაისს. (საქინფორმი).

## ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 15 ივნისის ცნობებით)

| რაიონების დასახელება | გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურის | გეგმის შესრულება პროცენტობით: ივნისისა, მაისის ნაკლისის ჩათვლით | რაიონების დასახელება | გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურის | გეგმის შესრულება პროცენტობით: ივნისისა, მაისის ნაკლისის ჩათვლით |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმის | 29,3 | 70,8 | ქუთაისის | 28,5 | 41,1 |
| ქობულეთის | 29,5 | 71,5 | წყალტუბოს | 23,4 | 17,6 |
| ქედის | 43,0 | 133,3 | ტყიბულის | 24,1 | 41,7 |
| **სულ აჭარის ასსრ-ში** | **29,4** | **71,3** | ცხაკაიას | 21,5 | 24,8 |
| გალის | 27,9 | 38,5 | აბაშის | 16,9 | 19,2 |
| ოჩამჩირის | 30,8 | 44,6 | გეგეჭკორის | 25,7 | 33,2 |
| გულრიფშის | 32,8 | 32,5 | ზუგდიდის | 24,7 | 38,9 |
| სოხუმის | 30,9 | 39,3 | წალენჯიხის | 24,7 | 38,8 |
| გუდაუთის | 36,2 | 57,7 | ჩხოროწყუს | 26,1 | 31,2 |
| **სულ აფხაზეთის ასსრ-ში** | **29,9** | **42,1** | ხობის | 22,8 | 26,2 |
| მახარაძის | 29,9 | 54,7 | თერჯოლის | 26,2 | 20,2 |
| ჩოხატაურის | 31,2 | 46,7 | ზესტაფონის | 32,6 | 30,8 |
| ლანჩხუთის | 28,9 | 47,1 | **სულ ქუთაისის ოლქში** | **26,9** | **42,3** |
| სამტრედიის | 21,9 | 23,9 | **სულ საქართველოს სსრ** | **27,8** | **46,5** |
| წულუკიძის | 23,1 | 27,6 | | | |

## ჩაი ახალ რაიონებში

კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე და იმიერკარპატის ოლქში გაშენებულია ჩაის ახალი საცდელ-საწარმოო პლანტაციები. კოლმეურნეობებში დიდი ინტერესით ეპყრობიან ამ კულტურის გაშენებას. კრასნოდარის მხარის გორიაჩი კლიუჩის, არმიანსკის, ტულსკაიას და მაიკოპის რაიონებში ჩაის საცდელ-საწარმოო თესვა განხორციელებულია მნიშვნელოვან ფართობზე. კოლმეურნეობათა გეგმა ბევრად გადაჭარბებულია. ჩაი დათესილია თესლით, რომელიც გამოყვანილია საქართველოში, კრასნოდარის მხარის ადლერისა და ლაზარევსკოეს რაიონებში.

კოლმეურნეები მზრუნველობით უვლიან მათი ადგილებისათვის ამ ახალ მცენარეს. ჩაის ბუჩქი — ცხელი ჰავის მცენარე მიჩურინული მეცნიერების მიღწევათა მეოხებით ახალ, უფრო ჩრდილოეთ რაიონებში ინერგება. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

# გულგრილობის ტყვეობაში

ქალაქ სტალინირს ახალგაზრდა, მზარდი მრეწველობა აქვს. საწარმოთა წინაშე ყოველდღიურად ახალი გადიდებული ამოცანები ისახება. ეს განსაკუთრებით ითქმის საშენ მასალათა საწარმოებზე. ახალი მშენებლობანი მათგან სულ უფრო მეტ და მაღალხარისხოვან პროდუქციას მოითხოვენ. ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა საშენ მასალათა საწარმოების პირველადი პარტორგანიზაციების უმთავრეს საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს. საშენ მასალათა საწარმოები სტალინირში არც თუ ბევრია. ეს მდგომარეობა შესაძლებლობას აძლევს პარტიის საქალაქო კომიტეტს უფრო მჭიდრო, ყოველდღიური კავშირი იქონიოს არა მარტო პირველადს პარტორგანიზაციებთან, არამედ თვითეულ კომუნისტთანაც, აამაღლოს მათი ავანგარდული როლი წარმოებაში, აღზარდოს ისინი მაღალი მომთხოვნელობისა და მტკიცე დისციპლინის სულისკვეთებით.

ფაქტები ადასტურებენ, რომ საშენ მასალათა საწარმოების პარტიულ ორგანიზაციებს ყოველთვის ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის მუშაკები. მაგალითისთვის ავიღოთ აგურის ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. იგი ცუდად მუშაობს, საწარმოს საქმიანობაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. აღსანიშნავია, რომ ამ პარტიულ ორგანიზაციაში გაერთიანებული არიან საოლქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგე, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი ამხ. დ. გაბარაევი, პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ქარხნის დირექტორი ამხ. ა. ლოხოვი. ამრიგად პარტიის საქალაქო კომიტეტს ქარხნის პირველადს პარტორგანიზაციაში ჰყავს თავისი უშუალო წარმომადგენლები, რომლებსაც იგი ბუნებრივია, სავსებით ენდობა. ცხადია მუშაკებს უნდა ვენდოთ, მაგრამ აუცილებელია მათი შემოწმებაც. უკანასკნელ, მნიშვნელოვან მოთხოვნას საქალაქო კომიტეტი უგულებელყოფს. ამით დ. გაბარაევი და ა. ლოხოვი, როგორც ჩანს, თვითდამშვიდებას მიეცნენ და თავიანთ მოვალეობას იმით ამოწურავენ, რომ დროდადრო პარტიულ კრებებზე უკმაყოფილებას გამოთქვამენ პარტორგანიზაციის ამა თუ იმ უბანზე შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამო. მაგრამ, მარტო ლაპარაკი საქმეს არ შველის. პარტორგანიზაციაში შექმნილი მდგომარეობა თვითდამშვიდების საბაბს სრულებით არ იძლევა.

პირველადი პარტორგანიზაციის საქმიანობაში კარგა ხანია დამკვიდრდა თვითდინება, უინიციატივობა. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ზ. გათიკოევი თავის მოვალეობას თვეში ერთხელ პარტიული კრების მოწვევით ამოწურავს, და ეს კრებებიც ზერელედ მზადდება, დღის წესრიგში დაყენებული საკითხების განხილვა ღრმად და ყოველმხრივ არ ხდება. პარტიულ კრებებზე მეტწილად ხდება ზემდგომი ორგანოების დადგენილებების განხილვა. მაგალითად, მიმდინარე წელს მოწვეულ 5 პარტიულ კრებაზე 6 საკითხი განიხილეს, აქედან მხოლოდ 2 საკითხი წამოაყენა პარტორგანიზაციამ და მაშინაც ვერ გააკეთა სწორი დასკვნები, ვერ დასახა საქმიანი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით შეეძლო გაეძლიერებინა თავისი გავლენა ქარხნის სამეურნეო ცხოვრებაზე.

მიმდინარე წლის 20 მაისს პარტიული კრების დღის წესრიგში იდგა მეორე კვარტალის გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხი. მოხსენება გააკეთა ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. ლოხოვმა. ამ საკითხის განხილვის დროს განსაკუთრებით საჭირო იყო ყველა კომუნისტის საქმიანობის კრიტიკული შეფასება, საჭირო იყო კრებას გამოერკვია, თუ რატომ ჩამორჩა ქარხანა, რატომ არ არის აღკვეთილი წუნდებული პროდუქციის გამოშვება, რატომ მატულობს პროდუქციის თვითღირებულება. შარშან ქარხანამ გეგმა ვერ შესრულა და 400.000 ცალი აგური დააკლო ახალ მშენებლობებს, ამასთან გაფუჭდა 450.000 ცალზე მეტი ნედლი და გამომწვარი აგური, გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულება.

ნაკლოვანებებზე ყურადღების გამახვილება მით უფრო საჭირო იყო, რომ ქარხანა ცუდად მოემზადა ახალი სეზონისათვის, რაც თავის დროზე აღნიშნა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ. ბიუროს სხდომაზე, რომელიც 21 მარტს შედგა, ქარხნის მუშაობაში არსებულ სხვა მთელ რიგ ნაკლოვანებებთან ერთად აღინიშნა, რომ გვიანდებოდა აგურისმკეთებელი ახალი მძლავრი აგრეგატის დადგმა. აგრეგატი კი ქარხანამ მიმდინარე წლის დასაწყისში მიიღო. საწარმოში დანერგილი არ იყო მექანიზაცია, ხოლო ახალი აგრეგატის საექსპლოატაციოდ დროზე გადაცემა დიდად შეუწყობდა ხელს ქარხანას მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში. აგრეგატის საექსპლოატაციოდ გადაცემის საქმე დაეკისრა ადგილობრივი მრეწველობის მთავარ ინჟინერს ვ. სოროკინს. სამუშაოს დამთავრების ვადად დაწესებულ იქნა 1 აპრილი. მართალია აგრეგატის დადგმა დაიწყო, მაგრამ საქმეს ბოლო არ უჩანს. ინჟინერმა ვ. სოროკინმა გააჭიანურა სამუშაო, ხოლო საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი ამხ. დ. გაბარაევი არავითარ ზომებს არ იღებს იმისათვის, რომ პასუხისმგებლობა აგრძნობინოს იმ დაწესებულების ინჟინერს, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობს, ბოლო მოუღოს საქმის გაჭიანურებას. ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის ბიურო რატომღაც ფიქრობს, რომ ეს საქმე მას არ ეხება და არავითარ ზომებს არ იღებს საქმის ბოლომდე მისაყვანად.

20 მაისს შემდგარ პარტიულ კრებაზე ბევრი სხვა ნაკლიც დარჩა გამოუმჟღავნებელი. პარტორგანიზაციამ საკუთარი ძალების აშკარა შეუფასებლობა გამოიჩინა. სამაგიეროდ ჩაერია ადმინისტრაციის ფუნქციებში და ქარხნის ტექნიკურ ხელმძღვანელს უპარტიო თ. ხანიკაევს დაავალა მეორე კვარტალის გეგმის შესრულებისათვის, აგრეთვე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა.

პარტიის საქალაქო კომიტეტში ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის კრების ოქმებს გულდასმით რომ კითხულობდნენ, ადვილად შენიშნავდნენ, რომ ორგანიზაციის ცხოვრება სისხლსავსე არ არის, რომ მას საქმიანი, სერიოზული დახმარება ესაჭიროება.

22 აპრილს პარტიულ კრებაზე აღინიშნა, რომ ქარხნის აგიტატორები არაფერს არ აკეთებენ, მათ წელს ერთი საუბარიც არ გაუმართავთ მეაგურეებთან. ამ შენიშვნას საქალაქო კომიტეტი არ გამოხმაურებია, ქარხნის აგიტატორებს კი მუშაობა არ გარდაუქმნიათ. ცხადია, პარტიის საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგეს ამხ. ა. გოგინაშვილს უნდა შეენიშნა, რომ აგურის ქარხნის პარტორგანიზაციაში გაერთიანებული 13 კომუნისტიდან არც ერთი არ მუშაობს აგიტატორად, რომ იქ დაბალ დონეზე დგას კომუნისტების პოლიტიკური სწავლების საქმე. 4 ამხანაგი წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავედ ითვლება, ფაქტიურად მათ ინდივიდუალური მუშაობის გეგმებიც არ შეუდგენიათ. თვით პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ზ. გათიკოევი არ ზრუნავს თავისი პოლიტიკური ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ეს არის იმის მიზეზი, რომ ამხ. გათიკოევი ადვილად ურიგდება ნაკლოვანებებს. იგი პირველ საყალიბე საამქროს ხელმძღვანელობს. მეორე საყალიბე საამქროს კომუნისტი თ. ლოლაევი განაგებს. მაისში ორივე საამქრომ ცუდად იმუშავა. 88.000 ცალი ნედლი აგური დააკლეს წარმოებას, ამასთან 37.876 ცალი დამზადებული ნედლი აგური გაუფუჭდათ.

ქარხანამ წელს ნახევარი თვის დაგვიანებით დაიწყო გამომწვარი აგურის გამოშვება. საშრობ ფარდულებს რემონტი სჭირდება. პარტიული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობით უნდა აიხსნას, რომ ქარხანაში სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს, საწარმოს მოწინავე ადამიანების გამოცდილების განზოგადებისათვის არაფერი კეთდება. ქარხნის ყოფა კეთილმოუწყობელია. არ არის აბანო. სასადილოში ერთფეროვანი, უგემური კერძები მზადდება, მაგიდებს სუფრები არა აქვს გადაფარებული. ქარხნის საბავშვო ბაღი ბნელ და ნესტიან ბინაშია მოთავსებული. ყოველივე ამას პარტიული ორგანიზაცია გულგრილად შესცქერის. იგი არ იბრძვის ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ პარტორგანიზაციამ სავსებით დაივიწყა კომკავშირი. ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციის (მდივანი თ. კუმსიევი) მუშაობა ჩაშლილია. წელს 5 თვის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მოიწვიეს კომკავშირის კრება და ამით ამოიწურა კომკავშირული ორგანიზაციის მთელი მუშაობა. ეს ფაქტი ცნობილია კომკავშირის საქალაქო კომიტეტისათვის, მაგრამ იგი არავითარ ზომებს არ იღებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტმა გადაჭრით უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა ჩამორჩენილი საწარმოს პირველადი პარტიული ორგანიზაციისადმი, კონკრეტულად დაეხმაროს, ასწავლოს მას პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის სწორი შეხამება, აამაღლოს მისი ბრძოლისუნარიანობა.

ვ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

## რესპუბლიკური ტექნიკური კონფერენცია მეტალურგიის საკითხებზე

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სხდომათა დარბაზში შედგა საქართველოს მეტალურგ ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების რესპუბლიკური ტექნიკური კონფერენცია მეტალურგიის საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტისა და თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა. კონფერენციას ესწრებოდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სამსხმელო საამქროსა და რესპუბლიკის სხვა საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეტალურგ ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარემ, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ნ. ქამაკაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს უფროსის ს. შარაძენიძის მოხსენება. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა გზით და ხერხებით აღწევენ საამქროს მოწინავე მეფოლადეები ჩქაროსნულ დნობას.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსმა ვ. ოსლამენკომ დამსწრეებს გააცნო უნაკერო მილების წარმოების თანამედროვე მეთოდები და განსაკუთრებით ვრცლად შეჩერდა მილების გაგლინვის ყველაზე პროგრესიულ, ეგრეთწოდებულ ავტომატურ მეთოდზე.

კონფერენციის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს აგრეთვე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ფ. თავაძის მოხსენება ფოლადის ჩასასხმელი ბოყვების გამძლეობის გადიდების გზების შესახებ.

მოხსენებებში დასმულ საკითხებზე გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერმა მუშაკებმა და საწარმოთა წარმომადგენლებმა. მათ აღნიშნეს, რომ მეტალურგ ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების წევრებმა უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ მეტალურგიულ საწარმოებთან.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მეცნიერი მუშაკები საწარმოთა ხელმძღვანელებს უნდა დაეხმარონ ტექნიკური ცოდნის პროპაგანდისა და მეტალურგთა მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში, იზრუნონ იმისათვის, რომ შეიქმნას საჭირო ტექნიკური ლიტერატურა ქართულ ენაზე.

## ხაშურელი მეაგურეებისათვის

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურის აგურის ქარხნის მახლობლად დაიწყო და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს აგურის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის ორსართულიანი (8-ბინიანი) ახალი საცხოვრებელი სახლის აგება.

საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრება და მუშათა შესახლება განზრახულია მიმდინარე წლის ბოლომდე.

# ნაკლოვანებებისადმი შემარიგებლობის შედეგი

სოფლის მეურნეობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგად ცაგერის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში დანაშაულებრივად ეკიდებიან საკოლმეურნეო საკუთრებას, არ იცავენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, ამასთან ვისაც ბრალი მიუძღვის წესდების დარღვევასა და საკოლმეურნეო დოვლათის დატაცებაში, მას დაუსჯელად ტოვებენ.

სოფელ ტვიშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრები არაერთხელ წერდნენ: ჩვენს კოლმეურნეობას შეუძლია მოწინავე იყოს. მას დიდი რაოდენობით აქვს უხვმოსავლიანი სახნავ-სათესი მიწები, მოწყობილი აქვს ფერმები, ჰყავს მცოდნე და საერთო საქმისადმი თავდადებული მუშაკები, მაგრამ ეს შესაძლებლობა სათანადოდ არ არის გამოყენებული; რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის დ. ჩარკვიანის მფარველობით ნადგურდება საკოლმეურნეო ქონება და სხვ.

მაგრამ კოლმეურნეთა სიგნალებს პარტიის ცაგერის რაიკომში უყურადღებოდ ეკიდებოდნენ. რაიკომიდან გაგზავნილი მუშაკები დამნაშავეებს რატომღაც ვერ „ამჩნევდნენ“.

კოლმეურნეობის ფერმის მუშაკები (გამგე შ. ბანძაძე) უსირცხვილოდ ითვისებენ ხელს საკოლმეურნეო ქონებაზე.

შარშან აქ „უგზოუკვლოდ დაიკარგა“ 23 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 3 ცხენი, 23 სული თხა და 336 ქათამი. ამის შესახებ დროზე მისცეს სიგნალი რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგებს. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ დ. ჩარკვიანმა ადგილზეც შეამოწმა მდგომარეობა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. დ. ჩარკვიანის მიერ 1951 წლის 15 სექტემბერს ხელდახელოდ დაწერილ დასკვნაში ვკითხულობთ: „დაუდევრობით დაზარალებული და დაკარგული პირუტყვი დაეწეროს და გადახდეს შემდეგ პირებს: ფერმის გამგეს შ. ბანძაძეს ერთი ძროხა, მწყემსებს ბ. ხმელიძეს — ერთი მოზვერი, ბ. ასათიანს—ერთი ძროხა, მ. ბანძაძეს—ერთი ძროხა, ს. სვანიძეს—23 თხა, თ. ხმელიძეს და მ. ნემსიწვერიძეს—290 ფრთა ქათამი და სხვ...“ ეს დასკვნა საქმეებში ჩააკერეს. კოლმეურნეები შველას ელოდნენ, მათ ეგონათ, რომ საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლებს სათანადო სასჯელი დაედებოდა, ეს საკითხი პარტიის რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგნად გახდებოდა, მაგრამ ამაოდ. დ. ჩარკვიანის გავლენით ეს საქმე დავიწყებას მისცეს. უფრო მეტიც. საკოლმეურნეო ქონების გამფლანგველი, ფერმის გამგე შ. ბანძაძე მეთინდერეობის ბრიგადირად გადაიყვანეს.

კოლმეურნეობაში შექმნილი არანორმალური მდგომარეობა ამას წინათ კვლავ აცნობეს პარტიის რაიონულ კომიტეტს. საქმის შემოწმება დაევალა რაისაბჭოს აღმასკომისა და პარტიის რაიონული კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებათა გამგეებს დ. ჩარკვიანს და შ. გასვიანს. ახლაც კოლმეურნეობაში ჩადენილ მთავარ ბოროტმოქმედებას რატომღაც გვერდი აუარეს, შეცდომაში შეიყვანეს რაიკომის ბიუროც. სრულიად არ იმსჯელეს ზემოთ აღნიშნულ საკითხზე და დაკმაყოფილდნენ [illegible] კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. ასათიანს სხვა მეორეხარისხოვანი დარღვევისათვის რაიკომის ბიურომ საყვედური გამოუცხადა საალრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო პარტიული ორგანიზაციის მდივანს—საყვედური.

მოუვლელობის შედეგად პირუტყვი დიდი რაოდენობით დაიხოცა. დახოცილ პირუტყვზე შედგენილი ზოგიერთი აქტი საეჭვოა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე თვითნებურად და არასწორად წყვეტს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს. ანგარიშს არ უწევს კოლმეურნეობის მართვის დემოკრატიულ პრინციპს. საქონლის სიკვდილიანობაზე შედგენილ აქტებს არ იხილავენ გამგეობის სხდომაზე და არც საერთო კრებაზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და საანგარიშო დარგის მუშაკების შეხედულებით ახდენენ კოლმეურნეობისათვის პირუტყვის ჩამოწერას.

რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგების სუსტი კონტროლის შედეგად კოლმეურნეობაში მიმართავენ თვალისახვევას, რათა უჩვენონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულება. მაგალითად, მარტო შარშან ამ მიზნით შრომადღეებზე გასანაწილებელი 85.687 მანეთის პროდუქტი გაყიდეს და 38 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი შეიძინეს.

კოლმეურნეობაში თანხებს ხარჯავენ ბანკისათვის გვერდის ავლით. მარტო ერთი წლის განმავლობაში დახარჯულია 279.176 მანეთი. განუყოფელი ფონდის შესავსებად კოლმეურნეობის გამგეობის დაუდევრობით აკლიათ 13.780 მანეთი.

კოლმეურნეობამ მოაწყო საზრდო ქარხანა, რომელიც 29.800 მანეთი დაჯდა. უყურადღებობის გამო ქარხანას ერთ დღესაც არ უმუშავნია, დაზგა-დანადგარები გარეთ ყრია და ფუჭდება.

კოლმეურნეებთან არასწორი ანგარიშსწორების შედეგად ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. კოლმეურნეთა ერთი ნაწილი სრულიად ვერ იღებს შრომადღეზე კუთვნილ პროდუქტებს და ფულს. მაგალითად, ჯერ კიდევ 4 წლის წინათ კოლმეურნეობის გამგეობის უთავო მუშაობით ზედმეტად გაცემულია 6.978 ლიტრი ღვინო. მარტო თავმჯდომარეს გ. ასათიანს ზედმეტად მიღებული აქვს 368 ლიტრი ღვინო და სხვა პროდუქტები. მათი ღირებულება დღესაც არა აქვს გადახდილი.

კოლმეურნეობაში არ იცავენ აგროწესებს, რის შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმას სანახევროდაც ვერ ასრულებენ. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 840 ლიტრისა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 66 ლიტრი რძე.

ამ მდგომარეობის გაგრძელება შეუწყნარებელია. აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ ცაგერის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, მკაცრად დასაჯონ ყველა, ვინც არღვევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, ითვისებს საკოლმეურნეო ქონებას და მფარველობს უწევს დამნაშავეებს.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

# მრეწველობაში დავნერგოთ პროგრესიულ-ტექნიკური ნორმები

★

ეკონომიურ თემაზე

★

სოციალისტური მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებელია ტექნიკური ნორმები. „თუ ტექნიკური ნორმები არ გვექნება, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—შეუძლებელია გეგმიანი მეურნეობა. ამას გარდა, ტექნიკური ნორმები საჭიროა იმისათვის, რომ ჩამორჩენილი მასები დავაწიოთ მოწინავეებს. ტექნიკური ნორმები დიდი მარეგულირებელი ძალაა, რომელიც წარმოებაში რაზმავს მუშების ფართო მასებს მუშათა კლასის მოწინავე ელემენტების გარშემო“.

ტექნიკური დანორმვის ფორმები განუწყვეტლივ იცვლება, უმჯობესდება და უფრო სრულყოფილი ხდება საბჭოთა მრეწველობის განუხრელ აღმავლობასთან ერთად. ტექნიკური დანორმვის ძირითადი ამოცანაა შექმნას და დააწესოს გამომუშავებისა და დროის ისეთი ნორმები, რომლებიც მრეწველობის განვითარების მიღწეულ დონეს შეეფერებიან.

ინჟინერ თ. კოვალიოვის მეთოდით მუშაობის ის დიდი გამოცდილება, რომელიც მრეწველობის ყველა დარგს აქვს, გვიჩვენებს, რომ ტექნიკური დანორმვისას დაკვირვების ობიექტი ძველებურად ერთი მუშა და მის მიერ შესრულებული საწარმოო ოპერაციები კი არ უნდა იყოს, არამედ ის სტახანოველები, რომლებიც ცალკეული საწარმოო ოპერაციების შესრულებაში საუკეთესო პროგრესიულ მაჩვენებლებს აღწევენ. სწორედ ეს მაჩვენებლები წარმოადგენს გამომუშავების ან დროის ნორმების დადგენის საფუძველს.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ინჟინერ თ. კოვალიოვის გამოცდილების დანერგვა 1950 წლის მეორე ნახევარში დავიწყეთ. მოწინავე მუშების მიერ ცალკეულ საწარმოო ოპერაციათა შესრულების მასობრივად შესწავლამ დაგვანახვა, რომ საქსოვ საამქროში მაქოს გამოცვლის ოპერაციას ყველაზე სწრაფად და მაღალხარისხოვნად ასრულებს ოთხდაზგიანი მქსოველი თ. კოპალიშვილი. იგი ამ საქმეს 5 წამის ნაცვლად 3,5 წამში ასწრებს. მისაქსელის გაწყვეტილი ძაფის გადაბმის ოპერაციის შესრულებაში ყველას სჯობნის სტახანოველი ე. ურთამელი, რომელიც ამ ოპერაციას 20,9 წამში ასრულებს ნორმით გათვალისწინებულ 26,5 წამის ნაცვლად. სტახანოველი ე. მეხრაძე მაქოს ხელახლა გაწყობას 22 წამის ნაცვლად 16 წამს უნდება, ხოლო ძაფის წვერის მონახვას 18-ის ნაცვლად 10,5 წამში ახერხებს. ცალკეული ოპერაციების შესრულებაში საუკეთესო შედეგები აქვთ სტახანოველებს ნ. პლანიგინას, ლ. მიშრიაკოვას, მ. ჩეჩელაშვილს, ე. ნიკულინას (საქსოვ საამქროში), ნ. ბარათაშვილს, ნ. მელაძეს, ა. ბადლიძეს (მოსამზადებელ საამქროში) და სხვებს.

ცალკეულ საწარმოო ოპერაციათა მოწინავე შემსრულებლების გამოვლინების შემდეგ ინჟინერ-ტექნიკოსთა უშუალო მონაწილეობით ფაბრიკის ყველა საამქროსა და განყოფილებაში აღწერილ იქნა წამყვანი პროფესიების სტახანოველი მუშების შრომის ყველაზე მოწინავე, ყველაზე რაციონალური ხერხები, შემუშავდა ოპერაციების შესრულების, დაზგების შემოვლის, ოპერაციების თანმიმდევრობის, ხელების მოძრაობის ნახაზები და გადაღებულ იქნა ფოტოსურათები. ამის შემდეგ ცალკეულ საწარმოო ოპერაციათა შესრულების ყველაზე მოწინავე ხერხები პირველ რიგში შევასწავლეთ საწარმოო სწავლების ინსტრუქტორებს, ოსტატის თანაშემწეებს, მოწინავე მუშებს. ცხადია, ამ შემთხვევაში მასწავლებლები იყვნენ წარმოების ნოვატორები, თვით ოპერაციათა საუკეთესო შემსრულებლები. შემდეგ კი, 1951 წლის დასაწყისიდან მოეწყო შრომის მოწინავე ხერხების მასობრივი სწავლება. ამან საშუალება მოგვცა 1951 წლის დასაწყისიდანვე საშუალოდ 9 პროცენტით გაგვედიდებინა ფაბრიკაში მოქმედი გამომუშავების ნორმები. გამომუშავების ეს გაზრდილი ნორმები მთელი წლის განმავლობაში 115-122 პროცენტით სრულდებოდა.

ახალი მანქანა-დანადგარების დადგმამ, სტახანოვური შრომის მოწინავე ხერხების შემდგომმა გაუმჯობესებამ და ფაბრიკაში მასობრივად გავრცელებამ საშუალება მოგვცა 1952 სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე საშუალოდ 15,9 პროცენტით კვლავ გაგვედიდებინა მოქმედი გამომუშავების ნორმები. ამჟამად ეს გაზრდილი ნორმებიც 12-15 პროცენტის გადაჭარბებით სრულდება.

შრომის პროცესების ნორმირება და გამომუშავების ტექნიკურ-პროგრესიული ნორმების დადგენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ტექნოლოგიურ პროცესებთან. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობის დანორმვის მუშაკები ნაკლებად მონაწილეობენ ისეთი პროგრესიული ნორმების დადგენაში, როგორიც არის მანქანების გამოყენების კოეფიციენტის განსაზღვრა და მოცდენის ოდენობის დაწესება. აბრეშუმის მრეწველობაში ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ცალკე მიზეზების მიხედვით მანქანა-დანადგარების ყველა სახის მოცდენა, არ არის დადგენილი მოცდენის გამეორების რაოდენობა და მოცდენის დრო. ამიტომაც მანქანა-დანადგარების ყველა სახის მოცდენა გათვალისწინებული არ არის გამომუშავების ნორმებში.

საქსოვი დაზგების მოცდენა შემდეგი ელემენტებისაგან შედგება: მიმდინარე შეკეთება, კაპიტალური შეკეთება, ახალი ქსელის მისკვა, მისკვენის შემდეგ გაწყობა, ქსელის გაწყვეტის ლიკვიდაცია, დაზგის ხელახალი გაწყობა, სავარცხლისა და დგიმების გასწორება. დღემდე მანქანა-დანადგარის მოცდენის საერთო რაოდენობას ვანგარიშობთ მოცდენის შეფარდებით მანქანის გაწყობის დროსთან, ამასთან მთელ სამუშაო დროსთან მოცდენის შეფარდებით გამოგვყავს მანქანის გამოყენების კოეფიციენტი. ეს არ არის სწორი. საშუალო პროგრესიული ნორმების დასადგენად საჭიროა დანორმვის თვალსაზრისით შევისწავლოთ ყველა ზემოთ აღნიშნული მოცდენა და ამ საქმეში გამოვიყენოთ წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილება. ჩვენს ფაბრიკაში აბრეშუმის საქსოვი დაზგების მოცდენა გეგმით განსაზღვრულია 7 პროცენტის რაოდენობით, მაშასადამე, მათი გამოყენების კოეფიციენტი 0,93-ს უდრის.

ფაბრიკის მე-9 კომპლექტის მუშების უმრავლესობა ვერ ეტევა მანქანა-დანადგარის მოცდენის გეგმით განსაზღვრულ რაოდენობაში. ეს მაშინ, როცა ოსტატის თანაშემწე ა. კახიანის კომპლექტში, სადაც 45 საქსოვი დაზგა მუშაობს და საკმაოდ რთული ასორტიმენტის პროდუქცია მზადდება, დაზგების საერთო მოცდენა 5 პროცენტამდე არის შემცირებული. ამხ. კახიანი სავსებით დაუფლებულია აბრეშუმის საქსოვი დაზგის რთული ნაწილების ურთიერთმოქმედების ტექნიკას და აბრეშუმის ქსოვის ტექნოლოგიას. იგი ხარისხიანი ნედლეულით, დამხმარე მასალებით, საჭირო სათადარიგო დეტალებით ამარაგებს მთელ კომპლექტს და თვითეულ მუშას. ზუსტად იცავს დაზგების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების გრაფიკს, შემუშავებული აქვს და მტკიცედ ახორციელებს დაზგების შემოვლის, მათი მომსახურების მარშრუტებს, მუშაობის დამთავრების შემდეგ ყოველდღიურად აწყობს მქსოველების ხუთწუთიან თათბირს, სადაც მათ აცნობს განვლილი დღის მუშაობის შედეგებს, ავლენს დეფექტებს და სახავს მოცდენის შემცირების ღონისძიებებს.

აუცილებელია ამ გამოცდილების შესწავლა, გაცდენის მინიმალური ოდენობის დადგენა და შემდეგ მისი როგორც პროგრესიული ნორმის გადატანა სხვა ბრიგადებსა და კომპლექტებში.

აბრეშუმის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულებაში დიდი ხვედრითი წილი აქვს ძვირფას ნედლეულს, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მისი ხარჯვისა და გამოყენების ორგანიზაციას. საშუალო პროგრესიული ნორმების დასაწესებლად საჭიროა განვსაზღვროთ ნედლეულის გამოყენება და წარმოების ნარჩენები. მთელ რიგ შემთხვევებში ნედლეულის ხარჯვისა და წარმოების ნარჩენების ნორმები დაწესებულია დიდი ხნის წინათ. მას შემდეგ წარმოების ნოვატორებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს ნედლეულის დამუშავების ხერხები, უზრუნველყვეს მისი უფრო რაციონალურად მოხმარება და შეამცირეს წარმოების ნარჩენები. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ცვლილებები ჯერ არ არის ასახული ტექნიკურ ნორმებში. საჭიროა მოვაწყოთ ნედლეულის ლაბორატორიული და სპეციალური საცდელ-საჩვენებელი დამუშავება, რომლის დროსაც დავაკვირდებით და შევისწავლით საწარმოო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას და შევიმუშავებთ ნედლეულის ხარჯვის ახალ, მისაღებ ნორმებს.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სამღებრო-გამომყვანი საამქრო აწარმოებს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატისა და ჩვენი საწარმოს მიერ გამოშვებული ხამი ქსოვილების დამუშავებას. თვითეული სახის ქსოვილისათვის დადგენილია ხამი ქსოვილის გამოსავლიანობა. საშუალოდ ყველა ქსოვილისათვის დაწესებულია, რომ 100 მეტრი პროდუქციის მისაღებად საჭიროა 103 მეტრი ხამი ქსოვილი. გასული წლის მესამე და მეოთხე კვარტალში მოვაწყვეთ ხამი ქსოვილის სპეციალური საცდელ-საჩვენებელი დამუშავება. გამოირკვა, რომ გამოსავლიანობის დაწესებული ნორმების დასაცავად საჭიროა ქსოვილების დამუშავების ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესის შეცვლა, რამაც თავის მხრივ მზა პროდუქციის ხარისხის საგრძნობლად გაუმჯობესება გამოიწვია.

შარშან მოსამზადებელ და საქსოვ საამქროებში შემოვიღეთ ნახვეწების ინდივიდუალური და ბრიგადული აღრიცხვა. გამოირკვა, რომ საერთოდ ფაბრიკაში ნახვეწების დიდი რაოდენობის მიუხედავად, შესანიშნავი შედეგები აქვთ ოსტატის თანაშემწეებს ს. ფაჩუაშვილს, მ. კოკოევს, ა. კახიანს, რომელთა ბრიგადებმა ნახვეწები 0,8 პროცენტამდე დაიყვანეს გეგმით გათვალისწინებული 1,5 პროცენტის ნაცვლად. ასეთი წარმატება ამ მოწინავე ბრიგადებმა მოიპოვეს თვითეულ მქსოველზე მისაქსელი მასრების თვლით განაწილებით და ამ საქმეში ზუსტი აღრიცხვის შემოღებით, აგრეთვე დაზგების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფით და წუნის (ძაფის გაწყვეტის შემთხვევების) მინიმუმამდე დაყვანით. ეს იმის საფუძველი გახდა, რომ 1952 წელს ნატურალური აბრეშუმის ნახვეწების საწარმოო ნორმატივად დადგენილ იქნა ახალი, პროგრესიული ნორმა 1 პროცენტის რაოდენობით, რომელიც რეალური და მისაღწევი გახდა მეტი წილი ბრიგადებისათვის.

მრეწველობის სხვადასხვა დარგებში დამხმარე მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის გამოყენებას სხვადასხვა ხვედრითი წილი აქვს. მაგრამ დამხმარე მასალების ხარჯვის ნორმატივები, რომლებიც მრეწველობის უმრავლეს დარგებს ცენტრალიზებული წესით ეძლევა, არ ითვალისწინებენ წარმოების სპეციფიკურ პირობებს (საწარმოო მოწყობილობისა და ტექნოლოგიური პროცესების მდგომარეობას), ამის გამო ამ ნორმატივების ხელმძღვანელობის დროს ზოგი მასალა ბევრი იხარჯება, ზოგი კი, პირიქით, ნაკლები, ნაწილობრივ გამოუყენებელი რჩება და ზეგეგმითი ნაშთების წარმოშობას იწვევს. ავიღოთ, მაგალითად, ელექტროენერგია. მისი ხარჯვის რაოდენობა დამოკიდებულია ელექტროენერგიის მხარჯავ მანქანებზე და იმ საზომ-საკონტროლო მოწყობილობაზე, რომლითაც ხდება პროდუქციის გამოსაშვებად დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობის გამორკვევა როგორც მთელი საწარმოს, ისე ცალკე უბნისა და ტექნოლოგიური პროცესის მიხედვით. ელექტროენერგიის რაციონალურად გამოყენებისას ყველა ამ მომენტის გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს არსებულ ნორმატივებში ახალი, პროგრესიული მაჩვენებლები შევიტანოთ.

არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროგრესიულ-ტექნიკური ნორმები ერთხელ გამოსაყვანი და დასადგენი სიდიდე კი არ არის, არამედ მუდმივად იცვლება და უმჯობესდება ჩვენი მრეწველობის განვითარებასთან, სტახანოვური მოძრაობის ზრდასთან ერთად. ამიტომ დანორმვის მუშაკების ამოცანაა სისტემატურად მოაწყონ შრომის გაუმჯობესებული ხერხების აღრიცხვა, შესწავლა და მისი იმგვარად განზოგადება, რომ იგი მისაწვდომი შეიქმნეს მუშათა ფართო მასებისათვის და გახდეს საფუძველი ახალი პროგრესიული ნორმების დადგენისათვის.

ეკონომისტი ი. შანიძე,
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საგეგმო განყოფილების უფროსი.

# ბოლომდე აღმოვფხვრათ ვულგარულ-მატერიალისტური შეცდომები ენათმეცნიერებაში

მალე ორი წელი შესრულდება ენათმეცნიერების საკითხებზე ი. ბ. სტალინის გენიალური შრომების გამოქვეყნებიდან. ამ შრომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მთელი საბჭოთა მეცნიერებისათვის.

ი. ბ. სტალინის შრომებში პირველად არის მოცემული მარქსისტული ენათმეცნიერების ყველა საკვანძო საკითხის ღრმა მეცნიერული გადაწყვეტა. ამ შრომებმა საბჭოთა ენათმეცნიერება გამოიყვანა კრიზისიდან, რომელშიც იგი ნ. მარის ე. წ. „ახალმა საენათმეცნიერო მოძღვრებამ“ მოაქცია.

საბჭოთა ენათმეცნიერებას ი. ბ. სტალინმა საამოცანა დაუსახა: „ენათმეცნიერებაში არაკჩეევის რეჟიმის ლიკვიდაცია, ნ. ი. მარის შეცდომების უარყოფა, ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დანერგვა“...

განვლილი ორი წლის მანძილზე დიდი მუშაობა ჩატარდა ი. ბ. სტალინის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად. ი. ბ. სტალინის გენიალურმა შრომებმა საბჭოთა ენათმეცნიერების შემოქმედებითი აქტივობის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია. სტალინური ენათმეცნიერების საფუძველზე გაჩაღდა გადამწყვეტი ბრძოლა ენათმეცნიერებაში ვულგარულ-მატერიალისტური და იდეალისტური თეორიების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ნ. მარისა და მისი მოწაფეების შეცდომათა წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ აქტუალურ ამოცანად რჩება საბჭოთა ენათმეცნიერებაში. ეს მით უმეტეს საჭიროა იმიტომ, რომ ნ. მარის ზოგმა ყოფილმა მოწაფემ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა, არ გააჩაღა ბრძოლა ნ. მარისა და საკუთარ შეცდომათა დასაძლევად.

* * *

ცნობილია, რომ პროფესორი ს. ჟღენტი, დოცენტები ალ. ღლონტი, ი. მეგრელიძე, შ. ძიძიგური ნ. მარის მოწაფეები იყვნენ საქართველოში. ისინი მთლიანად იზიარებდნენ და იცავდნენ ნ. მარის ე. წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“ და, ამავე დროს, ზოგი მათგანი (ს. ჟღენტი, ალ. ღლონტი) დაკავშირებული იყო ენათმეცნიერების ცენტრალურ ორგანოებში მოკალათებულ პირებთან (აკად. ი. მეშჩანინოვი, პროფ. გ. სერდიუჩენკო, პროფ. ნ. იაკოვლევი და სხვ.), რომლებიც არაკჩეევის რეჟიმს ნერგავდნენ ენათმეცნიერებაში, ამ რეჟიმის გამტარებლად გვევლინებოდა საქართველოში, — თავს ესხმოდა ყველას, ვინც გაბედავდა ნ. მარის გაკრიტიკებას.

ს. ჟღენტი თავის შრომებში, რომლებიც სპეციალურად ნ. მარის ე. წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“ შეეხება, იძლევა ნ. მარის თეორიის ქება-დიდებას, ეწევა ნ. მარის ვულგარულ-მატერიალისტური თეორიის პოპულარიზაციას. მისთვის, როგორც ნ. მარის მოწაფისათვის, მისაღები იყო „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ყველა დებულება.

ს. ჟღენტის აზრით, „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების მეთოდოლოგია იგივე დიალექტიკური მატერიალისტური მეთოდოლოგიაა“ („ნ. მარი და ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“, გვ. 14).

თავის სტატიებში ს. ჟღენტი უსიტყვოდ აღიარებს ნ. მარის მცდარ დებულებებს ენის წარმოშობის, ენის „ზედნაშენურობისა“ და „კლასობრივობის“ შესახებ, ენის სტადიური განვითარებისა და ერთიანი გლოტოგონიური პროცესის შესახებ და სხვ. (იხ. ს. ჟღენტის სტატიები: „ნიკო მარი — ქართული ენის მკვლევარი“ — კრებულში „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934 წ., „ნ. მარი და საბჭოთა ენათმეცნიერება“, „მნათობი“, 1950 წ., № 2, „აკადემიკოსი ნ. მარი და ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ (ბროშურა), 1934 წ.).

თავის „გურულ კილოში“ (1936 წ.) ს. ჟღენტი ფართოდ იყენებს ნ. მარის მცდარ დებულებებს ენის შესახებ. აღნიშნული ნაშრომის წინასიტყვაობაში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ვალდებულად ვთვლი ჩემ თავს განსაკუთრებული პატივისცემით მოვიხსენიო... აკად. ნ. მარი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით საშუალება მქონდა გზიარებოდი ახალ ენათმეცნიერულ მეთოდოლოგიას“ („გურული კილო“, გვ. 4).

ს. ჟღენტი უშვებს ყოვლად უხეშ შეცდომებს ქართული დიალექტოლოგიის საკითხების განხილვის დროს. ასე, მაგალითად, ს. ჟღენტი უარყოფს დიალექტთა კლასიფიკაციის ტერიტორიულ პრინციპს და კლასიფიკაციის ნ. მარის „სტადიურ პრინციპს“ გვთავაზობს. იგი წერს: „დასავლურსა“ და „აღმოსავლურს“ ქართული კილოების მიმართ პირობითად ვხმარობთ, სანამ არ არის მონახული შესაფერი ტერმინები ქართული კილოების სტადიური განვითარების კლასიფიკაციის მიხედვით“ (იქვე, გვ. 76).

ს. ჟღენტის აზრით, „ქართული კილოები ერთ დროს უთუოდ დამოუკიდებელ ენებს წარმოადგენდნენ“, ხოლო შემდეგ „ამ, წინათ დამოუკიდებელი, ენების კილოებად თუ დიალექტებად გადაქცევა მომხდარა“ (იქვე, გვ. 11). გამოდის, რომ ქართლური, კახური და სხვა ქართული კილოები წარმოშობით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ენებია. ეს ყოვლად უცნაური დებულება ს. ჟღენტს ნასესხები აქვს ნ. მარისაგან, რომელიც იმ აზრისა იყო, რომ ქართული კილოები თუ კილოკავები წარმოადგენენ გადმონაშთებს დამოუკიდებელი, ერთმანეთის არამონათესავე, ენებისას.

დოცენტი ალ. ღლონტი თავის ლექციებსა და სტატიებში თავგამოდებით ეწეოდა ნ. მარის ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ პროპაგანდას, ყოველმხრივ ცდილობდა ამ „მოძღვრებისათვის“ გაბატონებული მდგომარეობა მოეპოვებინა. მჟღერალა ფრაზებითა და ლიტონი განცხადებებით იგი ნ. მარს სახავდა როგორც მატერიალისტური ენათმეცნიერების ფუძემდებელს. ამასთან ალ. ღლონტი ყველა ასეთ შემთხვევაში მარქსიზმ-ლენინიზმს ეფარებოდა, რათა ნ. მარის თეორია გაესაღებინა როგორც მარქსისტული. ალ. ღლონტი იქამდე მიდიოდა, რომ ცდილობდა ნ. მარის არამარქსისტული დებულებები „განემტკიცებინა“ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებიდან თვითნებურად ამოღებული ციტატებით.

ალ. ღლონტი დეკლარაციულად აცხადებდა, რომ „ახალი მოძღვრება ენის შესახებ მატერიალისტური ენათმეცნიერებაა, მოწინავე საბჭოთა მეცნიერებაა, რითაც დამსახურებულად ამაყობს საბჭოთა საზოგადოებრიობა“ („ნიკო მარი“, გაზეთი „სახალხო განათლება“, 1949 წ. 26/V). ალ. ღლონტი ნ. მარის მცდარ დებულებებს ენის ზედნაშენური და კლასობრივი ხასიათის შესახებ ე. წ. „ენის შესახებ ახალი მოძღვრების“ ქვაკუთხედად და მარქსისტული ენათმეცნიერების უდიდეს მონაპოვრად აცხადებდა. თავის რეცენზიაში, რომელიც დაწერილია არნ. ჩიქობავას „ზოგადი ენათმეცნიერების გამო“ („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ. 7/III), ალ. ღლონტი წერდა: „სპეციალისტ ენათმეცნიერთა შორის ნ. მარი პირველი იყო, რომელმაც მკვეთრად განსაზღვრა ენა, როგორც იდეოლოგიური მონაცემი, ზედნაშენი კატეგორია... ნ. მარმა უმდიდრესი ენობრივი ფაქტებით ცხადჰყო ამ მარქსისტულ-ლენინური დებულებების ჭეშმარიტება. ესაა მისი, როგორც უთვალსაჩინოესი საბჭოთა მეცნიერის, დიდი დამსახურება“.

ალ. ღლონტი თავგამოდებით იცავდა აგრეთვე ნ. მარის დებულებას ენის „კლასობრიობის“ შესახებ და ამ მცდარ შეხედულებას მარქსისტულ-ლენინურ თეზისად ასაღებდა.

ალ. ღლონტი „ავითარებს“ კიდეც ნ. მარის მცდარ დებულებას ენის „კლასობრიობის“ შესახებ. იგი წერს: „მე-6, მე-7 საუკუნის ტექსტებში მოცემული ენა ქართული ფეოდალური კლასის სალიტერატურო ენაა, თუმცა მჟღავნდება, რომ იგი არ იყო მარტო ქართლელ ფეოდალთა და წარჩინებულთა კაპრიზების ენა, მის შექმნაში... მონაწილეობა მიუღიათ, როგორც იმერელ, ისე გურულ და სხვა თავადაზნაურებს“ (იხ. კრებული „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, გვ. 82). „ძველი ქართული, რომელიც წარმოდგენილია აქამდე მოღწეული ძეგლებით, მძიმე და მაღალფრაზოვანია, თანაც ძნელი ასათვისებელი. ესეც, რასაკვირველია, უდავოდ მოწმობს, რომ იმით სარგებლობდნენ მხოლოდ მაღალი, წარჩინებული კლასები...“ (იქვე, გვ. 83). უცნაური მსჯელობაა! რაკი დღეს ძველი ქართული „ძნელად ასათვისებელია“, თურმე ეს „უდავოდ მოწმობს“ იმას, რომ მით სარგებლობდნენ მხოლოდ წარჩინებული კლასები!

ალ. ღლონტი ხელაღებით უარყოფდა წარმოშობის მიხედვით ენათა ნათესაობას, მონათესავე ენათა ჯგუფების (ოჯახების) არსებობას და აღიარებდა ნ. მარის თეორიას ენის სტადიური განვითარების შესახებ. ენათა ნათესაობა და ამ ნათესაობასთან დაკავშირებული გენეალოგიური კლასიფიკაცია, ალ. ღლონტის აზრით, ისევე როგორც ნ. მარის აზრით, რასობრივი ცნებებია.

ალ. ღლონტი ყოველმხრივ ასხამს ხოტბას ნ. მარის ანტიისტორიულ ოთხელემენტოვანი ანალიზის პალეონტოლოგიურ მეთოდს: „ნ. მარმა, — წერს ალ. ღლონტი, — აღმოაჩინა ენობრივი კვლევა-ძიების სანდო მეთოდი — პალეონტოლოგიური მეთოდი, რომლის საშუალებით მან შესძლო ახალი ენათმეცნიერების უაღრესად პრინციპული დებულებების გადაწყვეტა“ („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ., 7/III).

ალ. ღლონტმა 1949 წელს გამოაქვეყნა ბროშურა „ენის წარმოშობის საკითხისათვის“, რომელიც თავიდან ბოლომდე აგებულია ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ არამარქსისტულ დებულებებზე. ამ ბროშურაში ალ. ღლონტი ნ. მარის „შრომა-მაგიურ“ თეორიას ენის წარმოშობის შესახებ, რომელსაც ამხანაგმა სტალინმა „შრომა-მაგიური“ აბდაუბდა უწოდა, მარქსისტულ თეორიად აცხადებს. ალ. ღლონტი იცავს ხელის ენის პრიმატს ბგერით მეტყველებასთან შედარებით. იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ „ადამიანი თავდაპირველად შეუძლებელია ბგერითი ენით ამეტყველებულიყო“... „ხელის ენა იყო ადამიანის პირვანდელი მეტყველება“ და სხვ.

ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით ალ. ღლონტის ყველა იმ მცდარ დებულებას, რომელიც მოცემული აქვს მას თავის სტატიებში (აღსანიშნავია, რომ არც ერთი მისი შრომა არ არის თავისუფალი უხეში შეცდომებისაგან).

ალ. ღლონტი ყოველნაირად ცდილობდა ენათმეცნიერებაში მარის მიმდევრების მიერ შექმნილი არაკჩეევის რეჟიმი გამოეყენებინა იმათ წინააღმდეგ, ვინც კრიტიკულად ეკიდებოდა ნ. მარის მოძღვრებას. ყოფილ ენისა და აზროვნების ინსტიტუტს, რომელსაც სათავეში ედგნენ ნ. მარის მიმდევრები და მოწაფეები (მეშჩანინოვი, სერდიუჩენკო და სხვ.), ალ. ღლონტი ცნობებს აწვდიდა და ჩიოდა, რომ საქართველოში ნ. მარის კრიტიკას ეწევიან და საშველად მოუწოდებდა ნ. მარის მოწაფეებს.

ნ. მარის სხვა მოწაფეებს ცდილობდა არ ჩამორჩენოდა დოცენტი ი. მეგრელიძე. იგი ცნობილია არა მარტო იმით, რომ დეკლარაციულ ქება-დიდებას ასხამდა ნ. მარის თეორიას, არამედ იმითაც, რომ ფართოდ იყენებდა ნ. მარის პალეონტოლოგიურ მეთოდს კონკრეტული ენობრივი მასალის „კვლევისას“.

ი. მეგრელიძის აზრით, ნ. მარის „ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება, ენის კლასიურობისა და სტადიურობის დადგენასთან ერთად ისაა, რომ ენისა და აზროვნების განვითარებაში აღიარა ძვრების არსებობა, რევოლუციების შესრულება სტადიიდან სტადიაში გადასვლისას. თითოეულ სტადიას მან ყველაზე უფრო მოხდენილად შეუფარდა აზროვნების სხვადასხვა სახეები: კოსმიური, ტოტემისტური, სახეობითი და ტექნოლოგიური“ („მნათობი“, 1935 წ. № 1, გვ. 176).

ი. მეგრელიძე, ცდილობს რა ყოველნაირად შეაქოს ნ. მარის პალეონტოლოგიური მეთოდი, წერს: „იგი სხარტად ჩამოყალიბებული ანბანითა და 4 ელემენტით ხსნის ენის იდეოლოგიურ მხარეს. ამიტომ მისთვის გამოსავალი ენობრივ კვლევაში არც სინტაქსია, არც მორფოლოგია, არც ფონეტიკა და არც ეტიმოლოგია“ („იაფეტური სიახლეები“..., „მნათობი“, 1933 წ. № 8-9, გვ. 244).

ი. მეგრელიძისათვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება სიტყვის ანალიზისას. პალეონტოლოგიური მეთოდის მომარჯვებით მეგრელიძე „არკვევს“, რომ ქართულში ერთი და იმავე წარმოშობის სიტყვებია ერთი მხრივ „ღმერთი“ და „ღორი“ და მეორე მხრივ „გოჭი“ და „კაცი“ (მეგრულ-ჭანური „კოჩი“). ღმერთის შთამომავალიაო კაცი, ღორისა—გოჭი, მაშასადამე, „გოჭი“ იგივეა, რაც ქართული „კაცი“ (მეგრულ-ჭანური „კოჩი“).—ასეთია დასკვნა, რასაც ოთხელემენტოვანი ანალიზი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ უშლის ხელს. ასეთი „მარგალიტები“ მრავლად გვხვდება ი. მეგრელიძის შრომებში. ნ. მარის პალეონტოლოგიურ მეთოდს იყენებს იგი ყველა თავის წერილში, რომელიც კონკრეტულ ენობრივ მასალას შეეხება.

ნ. მარის მოწაფედ ყოფნა თავის დროზე თავმოსაწონ საქმედ მიიჩნია დოცენტ შოთა ძიძიგურსაც. შ. ძიძიგური ფრთოვანი სიტყვებით აქებ-ადიდებს ნ. მარს და მის საენათმეცნიერო მოძღვრებას. იგი ერთ-ერთ თავის სტატიაში წერს: „ენის არსებით ბუნებას შუქი მაშინ მოეფინა, როდესაც გამომუშავებულ იქნა ახალი მეთოდოლოგიური ბაზა (ლაპარაკია ნ. მარის „ახალ მოძღვრებაზე“)... ეს ახალი საკვლევაძიებო მეთოდი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და ნაწილობრივი, მარმა მარქსიზმისაგან დამოუკიდებლად, მის პარალელურად შექმნა, როდესაც ავტორი არც კი იცნობდა მარქსიზმის ფუძემდებელთა ნაშრომებს... მაშასადამე, ნ. მარის სახელთან დაკავშირებული ყოფილა მარქსისტული ენათმეცნიერების გამომუშავება. მის მიერ შექმნილი თეორია, რომელსაც იაფეტიდოლოგიის სახელით იცნობენ, სხვა არაფერია, თუ არ მარქსიზმის კონკრეტიზაცია და ახალი დეტალებითა და გაშუქებებით შემაგრება ადამიანური მეტყველების თვალუწვდენელ მასალაზე“ („ნ. მარი, როგორც ენათმეცნიერი“, „მნათობი“, 1933 წ. № 12, გვ. 203).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შ. ძიძიგური თავის სპეციალურ საენათმეცნიერო ხასიათის წერილებში არ იყენებდა მარის პალეონტოლოგიურ მეთოდს, ისევე როგორც ამ მეთოდს არ იყენებდა არც ს. ჟღენტი, თუმცა მათ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ნ. მარის პალეონტოლოგიური მეთოდისადმი არ გამოუთქვამთ.

* * *

ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომებმა ენათმეცნიერების საკითხებზე ბოლო მოუღეს თეორიულ არევდარევას ენათმეცნიერებაში. ეს შრომები ცხადყოფენ, რომ ნ. მარის ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“, რომელსაც ნ. მარის მოწაფეები არაკჩეევის რეჟიმის მეშვეობით ნერგავდნენ საბჭოთა ენათმეცნიერებაში, როგორც ერთადერთ მარქსისტულ ენათმეცნიერულ თეორიას, მეცნიერულად უსაფუძვლოა და წარმოადგენს ვულგალურ-მატერიალისტურ თეორიას, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მარქსიზმთან. ნ. მარი, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ...„მარქსიზმის მხოლოდ და მხოლოდ გამაუბრალოებელი და ვულგარიზატორი იყო, როგორც „პროლეტკულტელები“ ან „რაპპელები“.

მოსალოდნელი იყო, რომ პროფესორი ს. ჟღენტი, დოცენტები ალ. ღლონტი, ი. მეგრელიძე და შ. ძიძიგური, რომლებიც ამაყობდნენ, რომ ნ. მარის მოწაფეები იყვნენ, გულდასმით გადასინჯავდნენ, აღიარებდნენ და დაგმობდნენ იმ აშკარა შეცდომებს, რაც მათ თავიანთ შრომებში აქვთ.

ს. ჟღენტმა გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც იგი წერს: „მე ჩემს საჯარო გამოსვლებში და ორიოდე სტატიაში, რომლებიც დავბეჭდე ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე, უდავოდ არასწორად ვაფასებდი ნ. მარის მოძღვრებას, გაუბედავად ვაკრიტიკებდი ნ. მარის იმ დებულებებსაც კი — მეტყველების პალეონტოლოგიისა და ენის წარმოშობის საკითხზე, რომლებსაც მე არ ვიზიარებდი“ („კომუნისტი“, 1950 წ. 4 აგვისტო).

ამასთან ს. ჟღენტი აღნიშნავს, რომ მის სპეციალურ საენათმეცნიერო ხასიათის ნარკვევებს არავითარი კავშირი არა აქვს ნ. მარის მცდარ თეორიასთან ენის შესახებ.

ჯერ-ერთი, ს. ჟღენტი ასახელებს მხოლოდ „ორიოდე სტატიას“, რომლებიც დაბეჭდილი იყო „მნათობში“ და არა ყველას. გარდა ამისა, იგი კონკრეტულად არაფერს ამბობს იმაზე, თუ მის სახელდობრ რომელ შრომაში რა დებულებებია უკუსაგდები.

რაც შეეხება ს. ჟღენტის განცხადებას, რომ იგი აკრიტიკებდა კიდეც (თუმცა „გაუბედავად“) ნ. მარის ზოგ დებულებას, ნამდვილად არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მას საჯაროდ გაეკრიტიკებინოს ნ. მარის თეორიის თუნდაც ერთი დებულება. ს. ჟღენტი, პირიქით, თავს ესხმოდა სხვებს, ვინც მართლაც ეწეოდა ნ. მარის ზოგი დებულების კრიტიკას.

ს. ჟღენტმა დუმილით აუარა გვერდი თავის ნაშრომს გურული კილოს შესახებ, რომელშიც, როგორც ვნახეთ, უხეში შეცდომებია, და საქმე ისე წარმოადგინა, თითქოს სპეციალური საენათმეცნიერო ხასიათის მისი შრომები შორს იყო ნ. მარის თეორიისაგან.

საენათმეცნიერო საკითხებზე თავისუფალი დისკუსიის ორი წლის შემდეგ აქვეყნებენ განცხადებებს თავიანთი შეცდომების შესახებ ალ. ღლონტი, შ. ძიძიგური და ი. მეგრელიძე. ალ. ღლონტი — გორის საქალაქო გაზეთ „სტალინელში“ და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, შ. ძიძიგური და ი. მეგრელიძე—გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“.

საინტერესოა ვიკითხოთ, სად იყვნენ აქამდე ალ. ღლონტი, შ. ძიძიგური და ი. მეგრელიძე? გაზეთ „სტალინელის“ გასული წლის 24 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ალ. ღლონტის საკმაოდ ვრცელი სტატია, რომელშიც ავტორი თითქმის ყველა იმ საკითხს ეხება, რომლებსაც ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომების გამოსვლამდე თვითონ ალ. ღლონტი ნ. მარის თეორიის მიხედვით არამარქსისტულად აშუქებდა. რატომ ამ წერილში არ გააკრიტიკა მან თავისი შეცდომები და პატიოსნად არ აღიარა ისინი?

გასულ წელს ალ. ღლონტმა გამოაქვეყნა სხვა სტატიაც გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ და აქაც გვერდი აუარა თავის შეცდომებს.

ახლა ვნახოთ, რამდენად თვითკრიტიკულია ალ. ღლონტის, შ. ძიძიგურის და ი. მეგრელიძის განცხადებები, რომლებიც მათ თუმცა დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოაქვეყნეს.

სამივე ეს განცხადება დეკლარაციულ ხასიათს ატარებს.

ალ. ღლონტი ჩამოთვლის ნ. მარის მხოლოდ ზოგიერთ შეცდომას და არა ყველას, რომლებსაც იგი უკრიტიკოდ და ბრმად იღებდა. იგი არაფერს ამბობს, მაგალითად, იმის შესახებ, რომ ხელაღებით უარყოფდა ენათა ნათესაობას და მონათესავე ენათა ჯგუფის (ოჯახების) არსებობას და აცხადებდა მას რასობრივ თეორიად; რომ იგი უარყოფდა ისტორიულ-შედარებით მეთოდსაც, აცხადებდა მას ფორმალურ, იდეალისტურ მეთოდად; რომ იგი მარქსისტულად ასაღებდა ნ. მარის დებულებებს ენისა და აზროვნების ურთიერთობის შესახებ; რომ იგი თალმუდისტურად იყენებდა ციტატებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებიდან ნ. მარის არამარქსისტულ დებულებათა „დასასაბუთებლად“.

შ. ძიძიგური თავის განცხადებაში აღიარებს, რომ იგი იზიარებდა ნ. მარის „თეორიის“ მხოლოდ უმთავრეს დებულებებს.

არც ენათმეცნიერების საკითხებზე მოწყობილ დისკუსიამდე და არც ამ დისკუსიის დროს შ. ძიძიგურს, ისევე როგორც ს. ჟღენტს, ალ. ღლონტს, ი. მეგრელიძეს, არ უარუყვიათ ნ. მარის არც ერთი დებულება.

თავიდან ბოლომდე დეკლარაციულ ხასიათს ატარებს ი. მეგრელიძის განცხადებაც. ამ განცხადებით ი. მეგრელიძეს სურს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, რომ ყველა მისი შეცდომა გამოიწვია ნ. მარის შეხედულებამ ენის „ზედნაშენურობის“ შესახებ, რომელსაც იგი იზიარებდა; „ამასთან დაკავშირებით“ იზიარებდა იგი ნ. მარის... ოთხელემენტოვან ანალიზსაც კი“... უგულებელყოფდა მორფოლოგიას და სხვ.

ი. მეგრელიძე არაფერს ამბობს იმაზე, რომ იგი ოთხელემენტოვან ანალიზს არა მარტო იზიარებდა, არამედ კიდევაც იყენებდა სპეციალური ხასიათის ყველა თავის შრომაში.

ი. მეგრელიძე ჩამოთვლის შრომებს, რომლებიც მას დაწერილი აქვს ნ. მარის მცდარი თეორიის საფუძველზე, მაგრამ არ განმარტავს, თუ რა მცდარი დებულებებია ამ შრომებში.

ამრიგად, პროფესორი ს. ჟღენტი, დოცენტები ალ. ღლონტი, ი. მეგრელიძე და შ. ძიძიგური თავიანთი შეცდომების აღიარების არასწორ გზას ადგანან.

ნ. მარის ყოფილ მოწაფეებს ნ. მარისა და თავიანთი შეცდომების კრიტიკისათვის შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ როგორც უმაღლეს სასწავლებელთა, ისე ენათმეცნიერების ინსტიტუტის ჟურნალები და კრებულები, ჟურნალი „მნათობი“, მაგრამ ამ შესაძლებლობას ისინი რატომღაც არ იყენებენ.

ნ. მარის ყოფილ მოწაფეებს უნდა ახსოვდეთ, რომ შეცდომათა დეკლარაციული აღიარება როდი ნიშნავს ნ. მარისა და საკუთარ შეცდომათა კრიტიკას.

„ბოლშევიკების მოვალეობას, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — წარმოადგენს არა თავისი შეცდომების მიჩქმალვა, არა მათი შეცდომების საკითხისათვის გვერდის ავლა, როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენში, არამედ თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად აღიარება, პატიოსნად და აშკარად დასახვა გზებისა ამ შეცდომების გამოსასწორებლად, თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად გამოსწორება“.

დოცენტები: ილ. ცერცვაძე,
ა. მარტიროსოვი,
ა. კიზირია,
ივ. ქავთარაძე.

## პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს მოწოდება ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი

ვენა, 15 ივნისი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესიამ მიიღო მოწოდება ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი — მხარი დაუჭირონ გერმანელი და იაპონელი ხალხების სამართლიან ბრძოლას დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის.

მოწოდებაში ნათქვამია:

მშრომელო ქალებო და მამაკაცებო!

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია თქვენს ყურადღებას მიაქცევს ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივ შეთქმულებას, რომლებიც ისწრაფვიან შეინარჩუნონ გერმანიის გათიშვა, აღორძინონ გერმანიის ფაშიზმი და იაპონიის მილიტარიზმი, რათა ხალხები ახალი სისხლისმღვრელი ომის უფსკრულში გადაჩეხონ.

დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის მილიტარიზაცია, რაც ამერიკელ იმპერიალისტთა ხელმძღვანელობით ხორციელდება, მიზნად ისახავს კვლავ გადააქციონ ეს ქვეყნები აგრესიის პლაცდარმად ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში.

იმპერიალისტები ემზადებიან ომისათვის და აძლიერებენ მშრომელი მასების ექსპლოატაციასა და ძარცვას, აწესებენ ანტიმუშურ, ანტიპროფკავშირულ კანონებს, მუშათა მოძრაობის ჩასახშობად იყენებენ ფაშისტურ მეთოდებს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს მთელი მსოფლიოს მშრომელებს მხარი დაუჭირონ გერმანელი და იაპონელი ხალხების სამართლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციის იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ.

ჩვენი ვალია, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ვალია ხელი შევუშალოთ ომის გამჩაღებელთა საზარელ გეგმებს, კაცობრიობის წინააღმდეგ მათს ახალ ავაზაკურ შეთქმულებას. ჩვენ ამას მივაღწევთ, თუ დარაზმულნი და მტკიცენი ვიქნებით ჩვენს ერთობლივ ბრძოლაში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოწოდებით მიმართავს განსაკუთრებით იმ ქვეყნების მშრომელებს, სადაც მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ პროექტი შეტანილ იქნება რატიფიკაციისათვის, გააჩაღონ აქტიური საპროტესტო კამპანია და მოითხოვონ ამ ხელშეკრულების ლიკვიდაცია.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მიესალმება გერმანელ და იაპონელ მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნების რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და ამით ამტკიცებენ ურყევ მისწრაფებას ხალხთა შორის მშვიდობისადმი.

ძირს მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება“, რომელიც დასავლეთ გერმანიას თავს მოახვიეს ომის გამჩაღებლებმა!

გაუმარჯოს ერთიან, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ გერმანიას!

ძირს ამერიკელ იმპერიალისტთა სამხედრო შეთანხმება იაპონელ მილიტარისტებთან!

გაუმარჯოს მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ იაპონიას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

## ბონის შეთქმულების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობისათვის!

### გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის სამდივნოს გადაწყვეტილება

ბერლინი, 15 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია:

„7 ივნისს გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ გამოაქვეყნა მიმართვა პარტიის წევრებისადმი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებისა, დეპუტატებისა და გამგეობებისადმი, რომლებსაც მოუწოდებს ერთობლივად გაუწიონ წინააღმდეგობა „საერთო ხელშეკრულების“ რატიფიკაციას.

სახალხო მოძრაობა „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, საზავო ხელშეკრულების დადებისათვის, ხალხის ნების გამოცხადება, რისკენაც მოუწოდებდა გერმანელთა ურთიერთგაგებისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულების კონგრესის პრეზიდიუმი, უნდა გადაიქცეს ჩვენი ხალხის მთელი პატრიოტული ძალების ნების მძლავრ გამოცხადებად იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებულ იქნას მოსალოდნელი უბედურება და უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი სამშობლოს მშვიდობა.

ახლა დადგა მოქმედების დრო. ახლა ჩვენ, კომუნისტები, მჭიდროდ უნდა დავირაზმოთ და ერთობლივად ვიმოქმედოთ პარლამენტებში, ყველა საწარმოსა და პროფკავშირში!

კომუნისტები მოვალენი არიან გააცნონ სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებს და ყველა წევრს პარტიის გამგეობის მოწოდება ერთობლივი მოქმედების შესახებ, განიხილონ ეს მოწოდება მათთან ერთად და გადაწყვიტონ, როგორ უნდა იქნას წარმოებული ერთობლივი ბრძოლა ერთიანი მიზნების მისაღწევად.

ამიტომ ჩვენი პარტიის გამგეობის სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ყველა რაიონულმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა გამართოს რაიონულ გამგეობათა სხდომები პარტიის პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებებისათვის მოსამზადებლად.

2. 30 ივნისამდე უნდა მოეწყოს პარტიის პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებები შემდეგი დღის წესრიგით: ბრძოლა საზავო ხელშეკრულებისათვის, „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ და პარტიის მუშაობა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის 7 ივნისის მიმართვასთან დაკავშირებით.

წინ, კომუნისტებო! გადადგით გადამწყვეტი ნაბიჯი მოქმედების ერთიანობისაკენ, რაც მშვიდობის ძალთა გამარჯვების, გერმანელი ხალხის ბედნიერების საწინდარია.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის სამდივნო“.

## გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების სარდლობის წარმომადგენლის პროტესტი

ბერლინი, 14 ივნისი. (საკდესი). 12 ივნისს ცეინგეს რაიონში (ნორდჰაუზენის დასავლეთით) ინგლისის ორმა რეაქტიულმა ავიაგამანადგურებელმა 800 მეტრ სიმაღლეზე ორჯერ დაარღვია სადემარკაციო ხაზი. ამასთან თვითმფრინავები 12-15 კილომეტრით შემოიჭრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამასთან დაკავშირებით 13 ივნისს გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების ჯგუფის შტაბის უფროსის მოადგილემ გენერალ-მაიორმა ტრუსოვმა ინგლისის საოკუპაციო ჯარების შტაბის უფროსის მოადგილეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც პროტესტი განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ინგლისის სამხედრო თვითმფრინავების ამ უკანონო ფრენის წინააღმდეგ.

გენერალ-მაიორი ტრუსოვი თავის წერილში აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა შედეგებისათვის, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ინგლისის თვითმფრინავების უკანონო ფრენას, მთლიანად ეკისრებათ ინგლისის სამხედრო ხელისუფლებს.

## შავი ჭირის გენერლის რიჯუეის იტალიაში ჩასვლის წინააღმდეგ

### იტალიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის კომიტეტის მოწოდება

რომი, 15 ივნისი. (საკდესი). იტალიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება ხალხისადმი. მოწოდებაში ნათქვამია:

„ცნობამ გენერალ რიჯუეის საინსპექციო მოგზაურობის შესახებ დიდი აღშფოთება გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში. „დასავლეთის ქრისტიანული ცივილიზაციის ამ დამცველის“ ჩამოსვლას წინ უძღვის ის, რომ მან სავალალო სახელი მოიხვეჭა ისეთი მოქმედებით, როგორიც არის მისი პროვოკატორული სამხედრო ავანტიურები, ბაქტერიოლოგიური ომის საშინელებანი, დაბომბვა „ნაპალმის“ საშუალებით, კორეაში დაზავების საბოტაჟი და სამხედრო ტყვეების ხოცვა. რიჯუეის ჩამოსვლა იტალიისათვის მოასწავებს უცხოელთა ოკუპაციისა და იმ საფრთხის გაძლიერებას, რომელიც უკვე ემუქრება ჩვენს კონსტიტუციურ თავისუფლებებს; მას თან მოაქვს ომის შავი ჭირი და შავი ჭირის ომი.

იყენებს რა ამერიკის საოკუპაციო ჯარების სტატუტს, რომელსაც ლონდონში ხელი მოაწერა დე გასპერის მთავრობამ, მაგრამ რომელიც რატიფიცირებული არ არის პარლამენტის მიერ, უცხოელი სამხედრო მეთაური ჰიტლერელი გენერლების მაგალითისამებრ მოემგზავრება, რათა ინსპექცია გაუწიოს სამხედრო ბაზებს და უცხოეთის სარდლობებს იტალიის ტერიტორიაზე, რომლებსაც ახლა უნდა დაემორჩილონ იტალიის შეიარაღებული ძალებიც. კლერიკალური მთავრობის წარმომადგენელნი, რომლებსაც მხარს უჭერენ ფაშიზმის ნაძირალები... იტალიის კარს ულებენ ამერიკელთა საოკუპაციო ძალების მეთაურს და ხვდებიან მას, როგორც „სასურველ სტუმარს“.

მაგრამ იტალიელებმა უკვე განუცხადეს და უცხადებენ რიჯუეის, თუ რას ფიქრობენ ისინი უცხოელ გენერლებზე, რომლებიც ცდილობენ იბრძანებლონ მათს სახლში და გადააქციონ იტალიის არმია უცხოელი აგრესორ-იმპერიალისტების სამსახურში მყოფ დაქირავებულ მილიციად.

იტალიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის კომიტეტი ამხილებს მთავრობის ანტიკონსტიტუციურ თვითნებობას, რომელიც აშკარად არღვევს პარლამენტისა და ერის უფლებებს იმით, რომ თანხმდება შემოღებულ იქნას ოკუპაციის რეჟიმი, რომელიც პარლამენტს არ დაუდასტურებია და რომელსაც აღშფოთებით უარყოფს ხალხი. ანტიკონსტიტუციური გულმოდგინება, რასაც დე გასპერის მთავრობა და მისი პოლიციის ხელისუფალნი იჩენენ მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა პირველი ცნობები მეთაურის ჩამოსვლის შესახებ, იმის ნიშანია, რომ ისინი ახალ გადამწყვეტ ნაბიჯს დგამენ მის მიერ ნაკარნახევ გზაზე. პოლიციის კორდონები, აშკარად დარღვევაა მოქალაქეთა უფლებებისა შეიკრიბონ და მშვიდობიანად გამოთქვან თავიანთი აზრი, საალყო წესების რეჟიმი — მთელი ეს ღონისძიებანი თავისთავად ცხადყოფენ, თუ ნამდვილად რას გრძნობენ იტალიელები, რომლებსაც ამაოდ უკრძალავენ აღშფოთების გამოთქმას კონსტიტუციით აღიარებული ფორმით.

საგანგებო ღონისძიებანი, რომლებიც დე გასპერის მთავრობამ ჯერ კიდევ რიჯუეის ჩამოსვლამდე მიიღო, მთელ მსოფლიოს უჩვენებენ, თუ რა დიდ აღშფოთებას იწვევს ხალხში საინსპექციო მოგზაურობა იტალიაში — პოლიციელთა ორ მწკრივს შორის — შავი ჭირის გენერლისა, რომელსაც სურს გერმანია გადააქციოს ევროპის კორეად, ხოლო იტალია — მესამე მსოფლიო ომის პლაცდარმად. მშვიდობის მომხრენი და ყველა პატრიოტი უცხოელი ოკუპანტისა და მისი აგენტურის პროვოკაციების პასუხად შეძლებენ უჩვენონ მათ, რომ იტალიელები ერთსულოვანნი არიან, როცა საქმე ეხება მშობლიური ქვეყნის მშვიდობის, მისი დამოუკიდებლობისა და მის კონსტიტუციურ თავისუფლებათა დაცვას“.

## ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ თავშესაფარი მისცა ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეს

პრაღა, 14 ივნისი. (საკდესი) დღეს ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გამოაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ თავშესაფარი მისცა ამერიკის არმიის სამხედრო მოსამსახურეს ვილის ბერგენს, რომელიც 1928 წლის 7 მაისს დაიბადა პორტლენდში, ორეგონის შტატში (ამერიკის შეერთებული შტატები). ვილის ბერგენი გამოიქცა თავისი ნაწილიდან, რომელიც დასავლეთ გერმანიაში იმყოფება, და ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე გადმოვიდა. ბერგენმა განუცხადა ჩეხოსლოვაკიის სასაზღვრო ხელისუფალთ, რომ იგი გამოიქცა პოლიტიკური მოტივებით და ითხოვს თავშესაფარს. მისი აზრით, რადგან არ ეთანხმება დასავლეთ გერმანიაში ნაცისტური არმიის აღორძინებასა და ხელახლა შეიარაღებას და ამერიკის აგრესიულ პოლიტიკას. ბერგენმა აგრეთვე განაცხადა, რომ სურს მონაწილეობა მიიღოს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მშვიდობიან მშენებლობაში.

## საჯარო სხდომა უნივერსიტეტში

17 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური მატერიალიზმისა და პოლიტეკონომიის კათედრები აწყობენ გაერთიანებულ საჯარო სხდომას, მიძღვნილს ი. სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ გამოსვლის ორი წლისთავისადმი.

სხდომაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი:

1. მეცნიერული კომუნიზმის თეორიის საკითხები ი. სტალინის შრომაში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“. (მომხსენებელი დოცენტი გ. გამსახურდია);

2. წარმოება, წარმოების წესი და ბაზისი ი. სტალინის შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ მიხედვით. (მომხსენებელი დოცენტი ი. ბაჯაძე);

3. მატერიალისტური დიალექტიკის საკითხების განვითარება ი. სტალინის შრომაში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“. (მომხსენებელი დოცენტი ა. ქუთელია).

## ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

ამას წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა დიდი სტალინის საენათმეცნიერო შრომების გამოქვეყნების ორი წლისთავის აღსანიშნავად მოაწყო სამეცნიერო სესია.

სესიაზე წაკითხულ იქნა მრავალი საყურადღებო მოხსენება გ. აბზიანიძის, ბ. ჟღენტის, პროფესორ მ. ჩიქოვანის, ე. ვირსალაძის და სხვ. მიერ. მოხსენებებში გაშუქებული იყო ამხანაგ სტალინის საენათმეცნიერო შრომების გამოქვეყნების მნიშვნელობა საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარებაზე, კერძოდ ენათმეცნიერ მუშაკთა შემოქმედებითი აღმავლობაზე.

## უკანონობის წინააღმდეგ, სიცრუით უკანონობის გამართლების ცდების წინააღმდეგ

### ჟაკ დიუკლოს დამცველთა წერილი საფრანგეთის იუსტიციის მინისტრისადმი

**პარიზი**, 15 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ" გუშინ გამოაქვეყნა ჟაკ დიუკლოს დამცველთა შემდეგი წერილი იუსტიციის მინისტრისადმი:

„უკვე 15 დღეა, რაც ბ-ნი ჟაკ დიუკლო დაპატიმრებულია, და დღემდე არ წარუდგენიათ არავითარი ფაქტი, არავითარი დოკუმენტი, რომელიც ასაბუთებდეს საპარლამენტო ხელშეუხებლობის ამ უმაგალითო ხელყოფას. მაგრამ ჩვენ არ ვკმაყოფილდებით იმით, რომ გამოვარკვიეთ დოსიეს უსუსურობა, დევნის დაუსაბუთებლობა და დაპატიმრების უკანონობა. ჩვენ მიგვაჩნია ფრიად სერიოზულ ფაქტად, რომლის პრეცედენტი არ ყოფილა განთავისუფლების დროიდან, ის, რომ უკანა რიცხვით გაჭირვებით შეთითხნილი ხსენებული ბრალდება ემყარება სიცრუეს. არა მარტო პრესისა და რადიოს შეთანხმებულ სიცრუეს, არამედ აგრეთვე ოფიციალურ ყალბ განცხადებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ უარუყვიათ მათს ავტორებს.

მაგალითად, 29 მაისს თქვენი კოლეგა, შინაგან საქმეთა მინისტრი, არ მოერიდა წერილში ეროვნული კრების თავმჯდომარის სახელზე ჩამოეყალიბებინა უტიფარი მონაჭორი იმის შესახებ, რომ დიუკლოს თითქოს დანაშაულზე (რა დანაშაულზე?) წაასწრეს ავტომობილში, „რომელიც მიჰყვებოდა დემონსტრანტებს ან წესრიგის ძალებს და რომლის მარშრუტი ემთხვეოდა მეამბოხეთა მოძრაობას", რომ ავტომობილზე „მოწყობილი იყო რადიომიმღები, რასაკვირველია, განკუთვნილი პოლიციის რადიოსადგურის გადაცემის მოსასმენად", რომ, კერძოდ, ამ ავტომობილში აღმოჩნდა „ორი მტრედი, საბანში გახვეული და დამხრჩვალი, მაგრამ ჯერ კიდევ თბილი". ეს სიცრუე უკვე იყო ოფიციალურ განცხადებებში, რომლებიც 28 მაისს შუაღამისას გადაეცა პრესას, და შემდეგ 30 მაისს ბ-ნ შარლ ბრიუნის განცხადებაში, რომელმაც უყოყმანოდ დაადასტურა ლეგენდა „საფოსტო მტრედების" შესახებ. ამავე დროს, ჯერ კიდევ 30 მაისს „ზერელე დათვალიერების" შემდეგ პოლიცია იძულებული იყო ეღიარებინა, რომ რადიომიმღები „როგორც ჩანს, იყო ჩვეულებრივი რადიომიმღები". აგრეთვე 29 მაისს პოლიციამ განაცხადა, რომ ყბადაღებული საფოსტო მტრედები გადაიქცნენ „ორ ჩვეულებრივ არა საფოსტო მტრედად, რომლებიც ცოტა ხნის წინათ დაიხოცნენ". ამან ხელი ვერ შეუშალა თქვენს კოლეგას თავის 30 მაისის განცხადებაში გაემეორებინა საბანში დამალული საფოსტო მტრედების ზღაპარი. ვინ დაიჯერებს, რომ 30 მაისს პოლიციის მინისტრმა არ იცოდა ის, რაც მისმა პოლიციამ იცოდა, ყოველ შემთხვევაში, წინა დღეს? მან იცოდა ეს და ჭეშმარიტების საწინააღმდეგოს ლაპარაკობდა: მართალია, რომ საჭირო გახდა კიდევ 6 დღე, რათა მტრედების სპეციალისტებისათვის დავალებული გულდასმითი ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ ოფიციალურად ყოფილიყო აღიარებული, რომ ეს არასაფოსტო მტრედები „საჭმელი მტრედების ჯიშს ეკუთვნიან".

მაგრამ უაზრობა ვერ გამოიწვევს ღიმილს, როცა წყდება კონსტიტუციურ თავისუფლებათა, მოქალაქეთა პირადი თავისუფლების, ერის წარმომადგენლის პირადი ხელშეუხებლობისა და ჩვენი ქვეყნის ბედი. არა, უაზრობა ვერ გამოიწვევს ღიმილს, როცა რესპუბლიკის მინისტრებს განუზრახავთ (სიტყვა „განზრახვის" ზოგადი და იურიდიული გაგებით) საზოგადოებრივი აზრის აშკარა მოტყუება იმისათვის, რომ სცადონ (თუმცა ამაოდ!) მისი ამხედრება ოპოზიციის წარმომადგენლის წინააღმდეგ, რომლისაც მათ ეშინიათ, ოპოზიციის დეპუტატის, ოპოზიციის ნამდვილი ხელმძღვანელის წინააღმდეგ, რომელიც, ამრიგად, სურთ ჩააჩუმონ და რომელსაც ეპყრობიან, როგორც მძევალს.

თქვენი ფუნქციების გამო, ბ-ნო მინისტრო, თქვენ მართლმსაჯულების მეთაური ხართ. ამავე დროს, რამდენადაც ჩვენ ვიცით, თქვენ არათუ არ გიცდიათ აღგედგინათ სიმართლე, რომლის მიმართ თქვენი კოლეგა არ მოერიდა თვითნებობას, რასთანაც ამიერიდან დაკავშირებული იქნება მისი სახელი, არამედ თქვენ, უყოყმანოდ, აქტიურად ჩაერიეთ და განუცხადეთ 31 მაისს პრესის წარმომადგენლებს, „რომ საქმე სერიოზულია და რომ არავის არა აქვს უფლება ნებადაურთველად ისარგებლოს საფოსტო მტრედებით და რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება დანაშაულობას, რომელიც გათვალისწინებულია და ისჯება კანონით". ამრიგად, თქვენ თავის მოვალეობად მიიჩნიეთ ზეგავლენა მოგეხდინათ თქვენს მართლმსაჯულებაზე არა მარტო თქვენი დუმილით, არამედ ფორმალური განცხადებითაც. უგულებელჰყავით რა „ხელისუფლების გაყოფის" პრინციპი, თქვენი პასუხისმგებლობა დაუკავშირეთ აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობას, ხელი დაიფარეთ უკანონო დევნასა და ჩხრეკას, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ შეგევსოთ არასასიამოვნო სიცარიელე და გაგემართლებინათ ის, რის გამართლებაც შეუძლებელია. სულ ცოტა ხნის წინათ ტულონის რაიონში ჩხრეკა, რაც მოხდა სასამართლო ორგანოების განკარგულებით ისე, რომ არ იყო არავითარი კანონიერი გარანტია, საბაბი გახდა პოლიციის მთელი რიგი ახალი განცხადებებისა და ლაყბობისა, რაც მიზნად ისახავდა გამოეწვია და განევითარებინა დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ დიფამაციის საშინელი კამპანია.

ჩვენ არა გვაქვს ცნობა, რომ თქვენს კოლეგას, შინაგან საქმეთა მინისტრს, ან თვითონ თქვენ თუნდაც თითი გაგენძრიათ იმისათვის, რომ თავიდან აგეცილებინათ ასეთი ფაქტები, ხოლო შემდეგ სამხედრო ხელისუფალთა განცხადებანი, რომლებმაც უარყვეს ეს ჭორები, და რომ შეგენელებინათ ეს ხან ზომასგადასული, ხან ზომიერი გულმოდგინება. ამავე დროს საკმაო იყო ერთი სიტყვა, რომ ინსპირირებული გაზეთების მკითხველთათვის გეჩვენებინათ ჭეშმარიტება და ყოველგვარ სიცხადესმოკლებული ატმოსფეროსაგან გეხსნათ თუ საზოგადოებრივი აზრი არა, რომელიც არ ცდება, მართლმსაჯულება მაინც, რომელსაც თქვენ მეთაურობთ.

მაგრამ ყველაზე სერიოზულია შემდეგი: არის საფუძველი ვშიშობდეთ, რომ ასეთი სიტყვებით ან დუმილით, ასეთი კომუნიკეებით ან ცირკულარებით თქვენ იმდენად შორს ჩაგითრიეს სიცრუის ამ გზაზე, რომ ვალდებულად მიიჩნევთ თავს განაგრძოთ ამ გზით სვლა, რომელიც ძალიან მოგვაგონებს 1940 წლის გზას. ჩვენ იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ 15 დღის შემდეგ თქვენ ჯერ კიდევ არ მიიჩნიეთ საჭიროდ უარგეყოთ განცხადებანი, რომლებიც, როგორც თქვენ იცით, სრულიად ეწინააღმდეგებიან საქმეს. ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ პროტესტს სიცრუის ღვარის წინააღმდეგ, რომელსაც თქვენ თქვენთვის მონიჭებული ძალაუფლებით მნიშვნელობას აძლევთ. ეს სიცრუე მძიმე შედეგებს უქადის მოქალაქეთა უშიშროებას და საფრანგეთის უშიშროებას.

დავშთებით ბ-ნო იუსტიციის მინისტრო, და სხვ.

ადვოკატები: მარსელ ვილარი, ჟოე ნორმანი, პოლ ვიენეი, მატარასო, ჟერომ ფერუჩი, მიშელ ბრიუგიე, შარლ ლედერმანი".

* * *

გარდა ამისა, გაზეთმა „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ საჩივარი, რომელიც 30 მაისს ჟაკ დიუკლომ გაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს თანამდებობრივი დანაშაულის გამო, რაც ჩაიდინეს „პირველი ინსტანციის პროკურორმა, გამომძიებელმა ჟაკინომ და მე-10 ოლქის პოლიციის კომისარმა და ყველა სხვამ", უარყოფილია. გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ დიუკლომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო პალატაში.

## კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 14 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე წარმატებით იგერიებდნენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა და ლისინმანელთა ჯარების გააფთრებულ იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 5 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ვონსანის, ნამფხოსა და სხვა რაიონების დაბომბვასა და მათთვის ტყვიამფრქვევის დაშენაში.

**ფხენიანი**, 15 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელი სახალხო მოხალისეები ფრონტის ცალკეულ უბნებზე განაგრძობდნენ გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ზურგის დასახლებული პუნქტების დაბომბვასა და მათთვის ტყვიამფრქვევის დაშენაში.

## ამერიკის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმა ფხენიანზე

**ფხენიანი**, 14 ივნისი. (საკდესი). დღეს ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ გააფთრებით დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს ფხენიანის საცხოვრებელ უბნებს. მოწინააღმდეგის 50 თვითმფრინავმა ქალაქის მარტო სამხრეთ ნაწილში ჩამოაგდო 200-ზე მეტი ბომბი. ჰაერის მეკობრეები საათნახევრის განმავლობაში ბომბავდნენ და ცეცხლს უშენდნენ ქალაქის დასახლებულ უბნებს. ამ ბარბაროსული თავდასხმის შედეგად არის მსხვერპლი, მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცები. დანგრეულია ბევრი საცხოვრებელი სახლი. ამერიკის თვითმფრინავებმა ქალაქსა და მის მიდამოებში ჩამოაგდეს დაყოვნებული მოქმედების ბევრი ბომბი.

## ამერიკის თვითმფრინავების მიერ კესონის ნეიტრალური ზონის დარღვევის გამო

**პეკინი**, 14 ივნისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

დღეს ამერიკელებმა აღიარეს, რომ მათმა ორმა რეაქტიულმა თვითმფრინავმა 7 ივნისს გადაუფრინა პანმინჯონის რაიონს, სადაც წარმოებს მოლაპარაკება დაზავების შესახებ. ამით დაარღვია შეთანხმება ამ რაიონის ნეიტრალობის შესახებ.

დღეს დილით ორივე მხარის მეკავშირე ოფიცერთა სხდომაზე ამერიკელმა მეკავშირე ოფიცერმა მერეიმ „მწუხარება" გამოთქვა ამ ინციდენტთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ამერიკის მხარე მიიღებს შემდგომ ღონისძიებებს, რათა ასეთი ფრენა დაშვებულ არ იქნას.

სწორედ ასევე, დაახლოებით ერთი კვირის წინათ, ამერიკელებმა აღიარეს, რომ მათმა თვითმფრინავებმა 23 მაისს გადაუფრინეს რაიონს, სადაც მოლაპარაკება წარმოებს. მაშინ ამერიკელებმა აგრეთვე გამოთქვეს „მწუხარება" და მოგვცეს იმის გარანტია, რომ მიიღებდნენ შემდგომ ღონისძიებებს, რათა ასეთი ფრენა არ დაეშვათ.

## ჯაშუშებისა და მავნებლების გასამართლება ჩეხოსლოვაკიაში

**პრაღა**, 14 ივნისი. (საკდესი). გუშინ ქალაქ ნოვა პაკაში დამთავრდა სამშობლოს მოღალატეთა და მათ ხელშემწყობთა ჯგუფის, რიცხვით 6 კაცის, პროცესი. ჯგუფი ეწეოდა დანაშაულებრივ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას და ცდილობდა ხელი შეეშალა ჩეხოსლოვაკიის სოფელში კოოპერაციული მოძრაობის განვითარებისათვის.

სასამართლო გამოძიების მსვლელობაში დადგენილ იქნა ყველა ბრალდებულის დანაშაული. ბრალდებულმა ვლადიმერ ცერმანმა — კულაკის შვილმა 1952 წლის თებერვალში კავშირი დაამყარა უცხოეთიდან ჩამოსულ მტრის აგენტთან. მეორე დამნაშავესთან — სტანისლავ ეექთან ერთად ცერმანი ამ აგენტს აწვდიდა ჯაშუშურ ცნობებს. ცერმანი გამოტყდა აგრეთვე იმაში, რომ სტანისლავ ეექთან ერთად აპირებდა ცეცხლი გაეჩინა სოფელში. მიმდინარე წლის აპრილში ცერმანი უცხოეთის აგენტს შეუთანხმდა საზღვარზე გადასვლის შესახებ. საზღვარგარეთ ცერმანს უნდა ესწავლა რადიოგადამცემით სარგებლობა, შემდეგ კი დაბრუნებულიყო ჩეხოსლოვაკიაში თავისი მოღალატური ჯაშუშური საქმიანობის განსაგრძობად.

დანარჩენი ბრალდებულები ცერმანისა და სტანისლავ ეექის ხელშემწყობი იყვნენ.

სახელმწიფო სასამართლომ ვლადიმერ ცერმანს მიუსაჯა სიკვდილი, სტანისლავ ეექს — 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანარჩენ 4 ბრალდებულს მიუსაჯა სხვადასხვა ვადის პატიმრობა, 12 წლიდან 3 წლამდე.

გაზეთ „ლიუდის" ცნობით, ამ დღეებში ბრატისლავაში სახელმწიფო სასამართლოს წინაშე წარდგა ძირგამომთხრელი ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფი, რომელიც დივერსიებსა და ტერორისტულ აქტებს ახორციელებდა.

ამ ბანდას მეთაურობდნენ ყოფილი დეპუტატი დემოკრატიული პარტიისაგან ვაცლავ გაიდოში, კულაკი იან რუჟიჩკა, მისი შვილი იმრიხ რუჟიჩკა და წისქვილის პატრონი ანტონ ბედერკა.

გაზეთი იუწყება, რომ სახელმწიფო სასამართლომ განიხილა ამ ბანდის საქმე და ორ ბრალდებულს მიუსაჯა მუდმივი პატიმრობა, დანარჩენებს კი — 25 წლით თავისუფლების აღკვეთა თვითეულს.

## ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკური თათბირი

18 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მწერალთა კავშირში გაიხსნება ახალგაზრდა მწერლების მესამე რესპუბლიკური თათბირი.

მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები: გ. ბანძელაძე — ახალგაზრდა მწერლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხი; ს. ჭილაია — ქართული საბჭოთა მწერლობის ამოცანები და მწერალთა ახალგაზრდა კადრები; გრ. აბაშიძე — ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება; გ. შატბერაშვილი — ახალგაზრდა პროზაიკოსების შემოქმედება; მიხ. მრევლიშვილი — ახალგაზრდა დრამატურგები.

თათბირის მონაწილე მწერლების რეგისტრაცია იწარმოებს მწერალთა კავშირის კლუბში 18 ივნისს დილის 11 საათიდან.

## შეხვედრა პოეტ ირაკლი აბაშიძესთან

რუსთაველის სახელობის მეათე მასობრივმა ბიბლიოთეკამ ამას წინათ მოაწყო მკითხველთა შეხვედრა პოეტ ირაკლი აბაშიძესთან.

შესავალი სიტყვისა და ირაკლი აბაშიძის შემოქმედების შესახებ მოხსენების შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს მკითხველებმა ო. ბადაშვილმა, რ. ქსოვრელმა, ა. დარსაველიძემ, რ. ალბოროვამ და ლ. ტაბატაძემ. პოეტის ლექსები წაიკითხეს ც. გაბუნიამ, ი. კოკაიამ და თ. ოთიაშვილმა.

ი. აბაშიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის და წაიკითხა თავისი რამდენიმე ახალი ლექსი.

## ავტომობილისტების შეჯიბრება

კვირას, 15 ივნისს თბილისის ტაქსმოტორული პარკის ავტოსატრანსპორტო კანტორისა და სასპორტო საზოგადოება „შრომის" ინიციატივით გაიმართა ავტომობილისტების შეჯიბრება ქალაქის სხვადასხვა რაიონსა და უბანში დანიშნული 12 პუნქტის უსწრაფესად ჩამოვლაში, მაგრამ იმ პირობით, რომ არ გადაეჭარბებინათ სხვადასხვა ქუჩებზე დაშვებული სისწრაფეებისათვის, არ დაერღვიათ ქალაქში ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესები.

ჩამოსავლელ პუნქტებად, სადაც ახდენდნენ გავლით შეჩერებული ავტომობილისტების აღრიცხვას, შერჩეული იყო—რუსთაველის პროსპექტზე მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის შენობა, უნივერსიტეტის ქუჩა № 31, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მთავარი შესასვლელი, ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბის შენობის მახლობელი ადგილი და სხვ. სულ ავტომობილისტებს უნდა გაევლოთ 40 კილომეტრი 12 სხვადასხვა დანიშნული ადგილის გავლით.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 40 ავტომობილისტმა, მათ შორის 24 ტაქსის მძღოლმა, ავტოკლუბის სამმა წარმომადგენელმა, სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის" ერთმა წარმომადგენელმა და ინდივიდუალური ავტომობილების მფლობელებმა.

პირველი ადგილი მოიპოვა ტაქსის მძღოლმა ირაკლი ჩიტაძემ, რომელმაც მოცემული მანძილი 1 საათში, 7 წუთსა და 52 წამში გაიარა. შემდგომი ადგილები დაიკავეს ავტომძღოლებმა ვალერიან გაბელაშვილმა, პეტრე გერარდიმ და ვალერიან კუპრაძემ.

## თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადა

კვირას, 15 [illegible] „დინამოს" სტადიონზე გაიხსნა თბილისის მოსწავლეთა [illegible] სპარტაკიადის პროგრამაშია მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, ტანვარჯიში, ჩოგბურთი, ჭადრაკი და სხვ.

პირველ დღეს მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მძლეოსნობაში. სპორტის ამ სახეობაში კარგ შედეგს მიაღწიეს და პირველი ადგილი დაიკავეს: ბადროს ტყორცნაში ჭაბუკთა შორის გ. ფარსადანოვმა, ბირთვის კვრაში ა. ჩიბუკიანმა, ბადროსა და შუბის ტყორცნაში გოგონათა შორის — ნ. კვანტალიანმა.

სპარტაკიადის მთავარი მსაჯია სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე.

## ფეხბურთი

კვირას, 15 ივნისს „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საქართველოს სსრ 1952 წლის თასის გათამაშება ფეხბურთში. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქუთაისის „დინამოსა" და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდები.

შეჯიბრებაში მაღალი სპორტული წვრთნა და კარგი ოსტატობა გამოავლინა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა, რომელმაც შეხვედრა მოიგო ანგარიშით 2:0.

* * *

იქვე შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების თბილისის ქვეჯგუფში მონაწილე გუნდების შეხვედრა. თამაშობდნენ თბილისის „დინამოს" (უმთავრესად სათადარიგო მოთამაშეები) და მაუდ-კამვოლის ფაბრიკის ფეხბურთელთა გუნდები.

შეჯიბრება მოიგო „დინამოს" გუნდმა, რითაც მოიპოვა სსრ კავშირის თასის გათამაშების საქართველოს ქვეჯგუფში მონაწილეობის უფლება.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი** — მოწინავე — ტრანსპორტის მუშაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეშვიდე ტომი ქართულ ენაზე.

შ. გურაბანიძე — კომუნიზმის დიად მშენებლობებისათვის.

მოწინავე კომბაინერების თათბირი.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

**მეორე გვერდი** — პარტიული ცხოვრება — კ. ბუჯიაშვილი—რომ უხელმძღვანელო — უნდა წინასწარ განჭვრიტო.

„პრავდის" 15-VI მოწინავე — ამერიკის სამხედრო ხროვა ჰიტლერული ტირანის გზით მიდის.

მ. მერკანოვი — მეგობრების შეხვედრა.

ა. ლომინაძე — მშენებლობის გაიაფების მდიდარი შესაძლებლობანი.

**მესამე გვერდი** — ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობები ივიწყებენ გასული წლის შეცდომებს.

ფ. ნაჭყებია — ქვანახშირის მოპოვების ახალი აღმავლობის გზები.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
**ი. ნატროშვილი**

---


რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი 1952-53 სასწავლო წლისათვის აწარმოებს მიღებას სამსახიობო (დრამისა და კინოს განყოფილებებით) და სარეჟისორო ფაკულტეტების 1-ლ კურსზე.

სამსახიობო ფაკულტეტი ამზადებს დრამისა და კინოს მსახიობებს.

სარეჟისორო ფაკულტეტი — დრამატული თეატრის რეჟისორებს.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სრულ საშუალო სკოლადამთავრებულნი. გამოცდები იწარმოებს სპეციალურ და საერთო განათლების საგნებში.

ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები, ფრიადოსანი ექსტერნები თავისუფლდებიან მხოლოდ საერთო განათლების საგნების ჩაბარებისაგან.

რაიონებიდან ჩამოსულთათვის უზრუნველყოფილია საერთო საცხოვრებელი.

სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლება 4-წლიანია, ხოლო სარეჟისორო ფაკულტეტზე— 5-წლიანი.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, პასპორტი და სამხედრო ბილეთი (პირადად).

განცხადებები მიიღება 10 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები—15 აგვისტოდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თეატრალური ინსტიტუტის მიმღები კომისიის მდივანთან 1-4 საათამდე ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი, № 17. ტელ. № 3-64-11, № 3-92-89.

---

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1952-1953 სასწავლო წლისათვის ქართული და რუსული სექტორების I კურსზე — მეტალურგიული განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. ფოლადის წარმოება, 2. გლინვა, 3. სამსხმელო წარმოება.

ახლად გახსნილი სამთო განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამთო ელექტრომექანიკა, 2. მადნეულ ბუდობთა დამუშავება. სწავლა ყველა სპეციალობაზე 4 წელია.

I კურსზე მიიღებიან ორივე სქესის პირები 14-დან 30 წლამდე ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა და რომლებიც გამოცდებს ჩააბარებენ შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერასა და ზეპირში), რუსულ ენაში—ქართული სექტორისათვის (წერასა და ზეპირში), მათემატიკაში (არითმეტიკა, ალგებრა და გეომეტრია) (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი).

მისაღები გამოცდები დაიწყება 1952 წლის 1 აგვისტოს. ის პირები, რომლებსაც 1951 და 1952 წლებში არასრული საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრიადზე, I კურსზე ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

ტექნიკუმის მოსწავლეები სასწავლო წლის დაწყებიდანვე იღებენ სტიპენდიას: I კურსზე—285 მან., II კურსზე—315 მანეთს, III კურსზე—360 მანეთს და IV კურსზე—390 მანეთს. სწავლის ფრიადოსნებს სტიპენდია ემატებათ 25%-ით.

ტექნიკუმში ჩარიცხული ყველა მოსწავლე თავისუფლდება საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობისაგან.

საცხოვრებელი ფართობის უქონლობის დროს ტექნიკუმის მოსწავლეებს ეძლევათ ბინა საერთო საცხოვრებელში, ან ეძლევათ ნაწილობრივი ღირებულება კერძო ბინებში ცხოვრებისათვის.

ტექნიკუმში შემსვლელმა უნდა შეიტანოს განცხადება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ატესტატი (ან მოწმობა) არასრული საშუალო სკოლის დამთავრებისა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, (საკუთარი ხელით დაწერილი), ჯანმრთელობის მოწმობა, სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების მოწმობა, ოთხი ფოტოსურათი ზომით 3X5 სმ.

განცხადებები მიიღება 1952 წლის 30 ივლისამდე. განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე (გარდა კვირადღეებისა) დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე ტექნიკუმის შენობაში, ლენინის ქ. № 67 (თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის შენობის პირდაპირ).

რაიონებიდან განცხადება და საბუთები უნდა გამოიგზავნოს ფასიანი პაკეტით ტექნიკუმის მისამართით.

---

თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის.

პედაგოგიურ სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ რვაწლიანი სკოლის სრული კურსი.

**პედსასწავლებელი ამზადებს:** დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს, მასწავლებელ-პიონერხელმძღვანელებს და რუსული ენის მასწავლებლებს დაწყებითი სკოლისათვის.

პედაგოგიურ სასწავლებელში შესვლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ (განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომელ განყოფილებაზე სურს სწავლა), რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოგრაფიული სურათი, დახასიათება იმ სკოლიდან, სადაც რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობაა გაცემული, ვაჟებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, პასპორტი ან პირადობის მოწმობა გამოცდებზე გამოცხადების დროს.

პედაგოგიურ სასწავლებელში შესვლის მსურველები გამოცდებს აბარებენ:

სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), არითმეტიკაში (წერა და ზეპირი), ალგებრაში, გეომეტრიაში.

განცხადებების მიღება წარმოებს პედსასწავლებლის კანცელარიაში დღის 4 საათიდან საღამოს 7 საათამდე (ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ. № 8).

გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

პედსასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებსაც 1951-52 სასწავლო წელს რვა კლასი დამთავრებული აქვთ წარჩინებით.

---

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის ქართულ და რუსულ განყოფილებათა 1 კურსზე.

ინსტიტუტი ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებლებს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის და სპეციალისტებს სასპორტო ორგანიზაციებისათვის. ინსტიტუტში სწავლების ვადა ოთხი წელია.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობა.

ინსტიტუტში შემომსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ქიმიაში, ფიზიკასა და ფიზიკურ მომზადებაში.

აკადემიურად წარჩინებული ყველა სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო სტიპენდიით 295 მანეთიდან 370 მანეთამდე (ფრიადოსნებს კი ეძლევათ 25-%ით მეტი).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ავტობიოგრაფია, საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი), სამი ფოტოსურათი 3X4-ზე, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის), პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად).

სტუდენტები ინსტიტუტში შემოსვლის დღიდან უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით საერთო წესის მიხედვით, სპორტული ტანსაცმლითა და სასადილოთი.

ინსტიტუტში სწავლების ოთხი წლის მანძილზე სტუდენტები შეისწავლიან: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, პოლიტეკონომიას, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, ანატომიას, ფიზიოლოგიას, ჰიგიენას, ადამიანის ფიზიკურ განვითარებას, საექიმო კონტროლს, სამკურნალო ფიზკულტურას, სპორტულ მასაჟს, პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიას, ფსიქოლოგიას, ფიზიკური აღზრდის თეორიასა და ისტორიას, სპორტის ცალკეული სახეების მიხედვით ტექნიკასა და სწავლების მეთოდიკას.

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე, მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

საბუთების მიღება იწარმოებს ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში 1952 წლის 20 ივნისიდან

მისამართი: გრიშაშვილის ქუჩა № 51. ტელეფონი № 3—81—01.


## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

**რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით 18 ივნისს**

06.25 — ნოვიკოვის სიმღერები; 07.30 — ქართული ხალხური სიმღერები; 09.20 — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები; 11.10 — კამერული მუსიკის კონცერტი; 17.15 — ვაგნერის უვერტიურები; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — ქართული ხალხური სიმღერები; 19.15 — ფრანკის საფორტეპიანო ტრიო.

**რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით**

20.30 — ქალაქის ქსელით — საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის კონცერტი; რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.45 — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მერი ნაკაშიძის კონცერტი; 21.00 — კონსულტაცია — „მომჭირნეობის რეჟიმი — სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია"; 21.40 — ოჩარენკოს საუბარი: „გორკი — მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი"; 00.05 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ქოშები; **მარჯანიშვილის სახელობის** — ლამაზი მამაკაცი; **გრიბოედოვის სახელობის** — ტოროლები გალობენ (42-ე და 43-ე აბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ძველი ჭრილობა (63-ე აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — შინ დაბრუნება მინდა (41-ე და 50-ე აბ. 11 ს.), ყაჩაღები (მე-9 აბ. 6 ს.); **სანკულტურის** — მშვიდობის სიმფონია; **ფილარმონია** — აზერბაიჯანის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი (9 ს.).

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი"** — დასავლეთი ზონა; **„ისანი"**—(ზაფხულის) თქმულება ნადირობაზე; **„დიდუბე"** — (ზაფხულის) ახალგაზრდა პარტიზანები, (ზამთრის) სოროჩინცის ბაზრობა; **ოფიცერთა პარკი** — ვანიკა; **„კოლმეურნე"** — არშინ-მალ-ალან.


გამომცემლობა „კომუნისტს" ესაჭიროება **შოფერი სატვირთო მანქანისათვის.**

პირობების გასაგებად მიმართეთ ლენინის ქ. № 14. მესამე სართული—გამომცემლობა „კომუნისტის" დირექტორს.

---

მოქალაქე **ვიქტორ პავლეს-ძე კლიმოვმა**, მცხოვრებმა ქ. გურჯაანში, სადგურის ქ. № 11, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ სამუელის ასულ კლიმოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ თბილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია.


---

დეიდები მარო, მარუსია, ვერა, ლენა, ელენე, ბიძა სერგო გეგიაძეები ოჯახებით იუწყებიან **ლამარა ვიქტორის ასულ მირზაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17-VI, 6 ს. თარხნიშვილის ჩიხი, 4.

---

მეუღლე მიხეილ, შვილი ოთარ, შვილიშვილი ნანი იუწყებიან **ნუცა ბესარიონის ასულ კაკაბაძე-ნოზაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-VI, 8 ს. გამოსვენება 19-VI, 6 ს. რუსთაველის პროსპ. № 50.

---

შვილები თინა, გოგი, ლენი მებუკეები, რძალი ლუბა რატიანი, სიძეები ვ. თინეიშვილი, დ. სანიკიძე, შვილიშვილები ოთარ, ეთერ, ლეილა, თამარ იუწყებიან **აკაკი ნიკოლოზის-ძე მებუკეს** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-VI ქ. წულუკიძეში.

---

შვილები ზაქარია, მარიამ, ოლია, ვარვარა, ქენია, რძალი ლედი, სიძეები მ. მიკირტუმოვი, ა. დემეტრაშვილი, ი. აბუაშვილი და შვილიშვილები იუწყებიან **არტემ იოსების-ძე ფირიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-VI, 8 ს. გამოსვენება 19-VI, 6 ს. ხოშტარიას, 24.

---

ვასო, იოსებ, სანდრო, გიორგი, თამარ ჩხუბიანიშვილები ოჯახებით, გივი მამალაძე იუწყებიან მამიდის თინათინ **დიმიტრის ასულ დეკანოზიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-VI, 8 ს. გამოსვენება 19-VI, 5 ს. 30 წ. ჯავახიშვილის შესახვ. № 9.

---

მეუღლე ლოლა, შვილები ვახტანგ, ლიალია ნემსაძეები იუწყებიან **პანკრატი ნიკოლოზის-ძე ნემსაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VI, ს. კოტიანეთში (ცხაკაიას რაიონი).

---

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების, პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის სკოლამდელი პედაგოგიკის სექტორის და სათამაშოების მუზეუმის თანამშრომლები იუწყებიან **ქსენია სპირიდონის ასულ ჯულელის** გარდაცვალებას.

---

დედა ნინო, დები რაისა, მარიკა შვილებით, გუგა, ერაკლე ოქროპირიძეები იუწყებიან **სარდიონ კონსტანტინეს-ძე აბრამიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-VI, 8 ს. გამოსვენება 19-VI, 6 ს. რუსთაველის პროსპ. 37.

---

დედა მარიამ, ძმები პროკოფი, სოლომონ, ნიკოლოზ, დები თამარ, ალექსანდრა, ვენერა ოჯახებით იუწყებიან **პანკრატი ნიკოლოზის-ძე ნემსაძის** გარდაცვალებას.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხაზდივნისი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02879